საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ოთხშაბათი, 2 ნოემბერი. 2022 წ. №169 (9507) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბოჭდეული სიფცეცა, ფეფილებით და ჭიტებით ბუტის გაფანა ყველა ეკლესიაზე უსაძაგლესია.

თბილისსა და რეგიონებში ნარკოდანაშაულისთვის დაკავებულია 24 პირი!

ნარკოდანაშაულისთვის დაკავებულებს შორის არის დამნაშავეთა ჯგუფი, რომლებიც ერთმანეთთან არიან კავშირში. ასევე, არიან ადამიანები, რომლებიც ინდივიდუალურად მოქმედებდნენ, — ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა თეიმურაზ კუპატაძემ სამინისტროში გამართულ ბრიფინგზე, ჟურნალისტების კითხვის საპასუხოდ განაცხადა. დაკავებულებს შორის არიან ქალებიც.

„დაკავებულებს შორის არიან ყაზახეთის მოქალაქეები. მიმდინარეობს გამოძიება, რომ დადასტურდეს, თუ რა გზით მოხდა ნარკოტიკების ჩვენს ქვეყანაში მოხვედრა“, — განაცხადა თეიმურაზ კუპატაძემ.

იხ. 2 გვ.

ეკა ბესელია: ბიძინა ივანიშვილი არის ქველმოქმედი, მეცენატი და მას არანაირი შეხება არა აქვს დეოლიგარქიზაციასთან

დედაქალაქის მერის კახა კალაძის განცხადებით, **საქართველოს ხელისუფლება ევროინტეგრაციისკენ მიმავალ გზაზე არაერთ მნიშვნელოვან რეფორმას ახორციელებს და 12-პუნქტიან გეგმას აუცილებლად შეასრულებს,**— ამის შესახებ მან მედიასთან ისაუბრა.

ჟურნალისტების კითხვაზე, მიიღებს თუ არა „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონს, კახა კალაძე პასუხობს, რომ ამისთვის ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს.

„რა თქმა უნდა, „ქართული ოცნება“ გააკეთებს ყველაფერს იმისთვის, რომ ის 12-პუნქტიანი გეგმა, რომელიც იყო წარმოდგენილი, შესრულდეს. ჩვენთვის, ჩვენი ქვეყნისთვის, ხელისუფლებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ გადაიდგას კონკრეტული ნაბიჯები ამ რთულ და მნიშვნელოვან — ევროინტეგრაციის გზაზე. ბოლო წლების განმავლობაში ბევრი საინტერესო რეფორმა განხორციელდა. დღეს გვაქვს შესასრულებელი 12-პუნქტიანი გეგმა და ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს დეოლიგარქიზაციის კანონთან დაკავშირებით“, — განაცხადა თბილისის მერმა. ამასთან, კახა კალაძემ კიდევ ერთხელ მკაფიოდ გამიჯნა ბიძინა ივანიშვილის სახელი დეოლიგარქიზაციის პროცესისგან. მისი თქმით, ბიძინა ივანიშვილი არის მეცენატი, რომელიც ყოველთვის მხარში ედგა საქართველოს და მის სახელს არაერთი პროექტი უკავშირდება.

„ბიძინა ივანიშვილი არის ადამიანი, რომელმაც ძალიან ბევრი სიკეთე გააკეთა ამ ქვეყნისთვის, რომელიც ყოველთვის მხარში ედგა ჩვენს ქვეყანას, მათ შორის წინა ხელისუფლების პერიოდში. მას უკავშირდება სკოლების, საბავშვო ბაღებისა და სამხედრო ბაზების მშენებლობა, უამრავი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის რეაბილიტაცია-განახლება. წიგნებიც არის გამოცემული ამასთან დაკავშირებით და დაინტერესების შემთხვევაში, შეგიძლიათ სრულყოფილი ინფორმაცია მიიღოთ. ის არის ქველმოქმედი, მეცენატი, პატრიოტი, ამ ქვეყანასა და ხალხზე შეყვარებული ადამიანი“, — აღნიშნა კახა კალაძემ.

კახა კალაძემ ბინა აჩუქა მებაღეს, რომელმაც ვაკის პარკში ბავშვები გადაარჩინა

მებაღეს, რომელმაც ვაკის პარკში ბავშვები გადაარჩინა, კახა კალაძემ ბინა აჩუქა. ეს ფაქტი თვით მეზურნიშვილმა გაახმაურა.

„პოსტების წერით არ გამოვირჩევი, მაგრამ უამრავი ადამიანი მეკითხება და ჩემმა საახლობლომაც იცის ეს მოულოდნელი ამბავი. პირადად კახა კალაძემ საჩუქრად გადმოგვცა მე და ჩემ ოჯახს მშენებარე ბინა თბილისში, რომელიც მალე სრულიად გარემონტებული ჩაგვბარდება.

წლებია, მე და ჩემი მეუღლე ვცხოვრობთ ქირით თბილისში ისეთ პირობებში, სადაც ბავშვების ჩამოყვანასაც ვერ ვახერხებდით. ამაზე საუბარი და წუწუნი არასდროს მიფიქრია. იმ საბედისწერო დღის შემდეგ უამრავმა ჟურნალისტმა ჩამწერა, მკითხეს სად ვცხოვრობდი და რას ვსაქმიანობდი. არ დამიმალავს და გულწრფელად ვუპასუხე ყველას. მართალი გითხრათ, არ ველოდი ასეთ საჩუქარს. მინდა, სწორად გაიგოს ყველამ, არაფერი განსაკუთრებული არ გამიკეთებია.

ეს საჩუქარი უდიდესი შვებაა ჩემი ოჯახისთვის. პირადი შეხვედრის დროს ბატონმა კახა კალაძემ მთხოვა, არ გამეხმაურება ეს ამბავი, მაგრამ ვერ შევძლებ ამ თხოვნის შესრულებას. არასდროს არაფერი დამიმალავს და ამ სიხარულსაც ვერ დავმალავ. სიკეთით გადაგვეხადოს მე თუ არა ჩემს შვილებს მაინც“, — წერს მეზურნიშვილი.

გამოჩენილი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე

შუშანა ფუტკარაძე — 80

„ბევრი ცრემლნარევი ლექსი დამაწერინა ისტორიულ ტაო-კლარჯეთთან დაკავშირებულმა სევდამ, მუჰაჯირი ქართველების გულდათუთქულმა ქართულმა, სტამბოლში მოღვაწე ქართველი სასულიერო პირების მიერ 120 წლის მანძილზე ქართული კულტურის კერად ქცეული, ამჟამად ობლად დარჩენილი მონასტრის მწუხარებამ, სახელოვანი გვარიშვილების — აბაშიძეების, ბეჟანიძეების, თავდგირიძეების, ლორთქიფანიძეების, ხიმშიაშვილების — წარმომადგენელთა ნოსტალგიამ. შერიფ ბეგ ხიმშიაშვილის შვილთაშვილებმა — ენვერ ბიძამ და მელაათ-ხანუმმა იმდენი ცრემლი ღვარეს ჩემთან საუბარში, იმდენი სასიყვარულო, მოსაფერებელი სიტყვები თქვეს ნიგაზეულის, სხალთის, ხულოს მიმართ, რომ დამაწერინეს ლექსი „მენატრები, ჩემო ხულო“... „სამშობლოდან იძულებით გადასვლილი ჩვენებურების ნაღველჩამდგარი თვალებიდან მონაწური ცხელი ცრემლები ქვასაც კი წვავს და ადნობს. ამ გრძნობას მშობელი მიწის სიყვარული ჰქვია. ახალგაზრდების გასაგონად ვამბობ: არავინ ისურვოს მშობელი მიწის მიტოვება და უცხოეთში გახიზვნა, თორემ სანანებელი, გულსაკლავი ნაღველი შვიდ თაობას მაინც გადაჰყვება. ცნობილმა მომღერალმა ბაიარ შაჰინმა-გუნდარიძემ ამ ლექსის შესაბამისი მუსიკა შექმნა და სიმღერად აქცია.“

იხ. 5 გვ.

პრემიერ-მინისტრი სამუშაო ვიზიტით არაბთა გაერთიანებულ საამიროებში იმყოფებოდა

ირაკლი ღარიბაშვილი შეიხ ნაჰიან მუბარაკ ალ-ნაჰიანს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი არაბთა გაერთიანებული საამიროების ტოლერანტობისა და თანაარსებობის მინისტრს, შეიხ ნაჰიან მუბარაკ ალ-ნაჰიანს შეხვდა, რომელიც საქართველოში განხორციელებული ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინვესტიციის მფლობელია.

განსახილველ საკითხებს შორის იყო ორ ქვეყანას შორის არსებული თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები და სამომავლო თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები. პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ არაბთა გაერთიანებული საამიროები მიმზიდველი კომერციული, სავაჭრო და ტექნოლოგიური ცენტრია და დასაფასებელია მისი მზარდი საერთაშორისო პოზიციონირება ყველა მიმართულებით.

ოფიციალური შეხვედრის შემდეგ, შეიხ ნაჰიან მუბარაკ ალ-ნაჰიანმა ირაკლი ღარიბაშვილს სამუშაო სადილზე უმასპინძლა.

შეიხ ნაჰიან მუბარაკ ალ-ნაჰიანს საქართველოში 150 მილიონი დოლარის ღირებულების ინვესტიცია აქვს განხორციელებული.

* * *

აბუ-დაბის საერთაშორისო აეროპორტში პრემიერ-მინისტრი არაბთა გაერთიანებული საამიროების იუსტიციის მინისტრმა აბდულა ბინ სულთან ბინ ავად ალ ნუაიმიმ გააცილა. საქართველოს მთავრობის მეთაური არაბთა გაერთიანებულ საამიროებში დელეგაციასთან ერთად იმყოფებოდა.

თავზეხელაღებული ნარკორეალიზატორები

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს, თბილისის პოლიციის დეპარტამენტის, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის, სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის, შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის და აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული კომპლექსური ოპერატიული ღონისძიებები და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ნარკოდანაშაულისთვის 24 პირი დააკავეს,— ამის შესახებ ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა, თეიმურაზ კუპატაძემ ბრიფინგზე განაცხადა.

მისი აღიარებით, ნარკოტიკების უკანონო რეალიზაციის, უკანონო გასაღების მცდელობისა და უკანონო რეალიზაციის მომზადების ბრალდებით, თბილისსა და რეგიონებში, მათ შორის ფონიჭალის დასახლებაში, დაკავებულია 18 ნარკორეალიზატორი.

დანაშაულები 20 წლამდე ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა ნარკოტიკების უკანონო გასაღების ბრალდებით დაკავებული პირებისგან, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენჯერმე განახორციელეს ნარკოტიკების საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფარული აუდიო-ვიდეო ჩაწერა. პოლიციამ ნივთმტკიცებების სახით ამოიღო ნარკორეალიზაციისთვის ბრალდებულების მიერ უკანონოდ გაყიდული ნარკოტიკული საშუალებები. ასევე, ამოღებულია ნარკოტიკების უკანონო გასაღების შედეგად მიღებული თანხა.

ამასთანავე, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, თბილისსა და ბათუმში ერთდროულად ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 3 პირი დააკავეს.

1977 წელს დაბადებული უკრაინის რესპუბლიკის მოქალაქე ო.ა. დაკავებულია განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისათვის.

1986 წელს დაბადებული რუსეთის ფედერაციის ორი მოქალაქე - ი.ლ. და ი.პ. კი სამართალდამცველებმა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

პოლიციამ, დაკავებულების ავტომანქანის და საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოიღო ნახევარ კილოზე მეტი ნარკოტიკული საშუალება „კოკაინი“.

გარდა ამისა, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვისათვის დაკავებულია 3 პირი: 1976 წელს დაბადებული, წარსულში სხვადასხვა მძიმე დანაშაულისთვის ნასამართლევი ე.ბ., 1995 წელს დაბადებულ ა.ს. და 1970 წელს დაბადებული რ. ნ.

სამართალდამცველებმა, თბილისსა და რეგიონებში ჩატარებული კომპლექსური საპოლიციო ღონისძიებების ფარგლებში, ნარკოტიკების ინტერნეტით უკანონო გასაღების ფაქტებიც აღკვეთეს და ყაზახეთის რესპუბლიკის 3 მოქალაქე დააკავეს. ჩატარებული ფარული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად დადგინდა, რომ ნარკოტიკების გასაღებისთვის ბრალდებული პირები ჩართული იყვნენ ინტერნეტით ნარკოტიკების რეალიზაციის სქემაში.

მათი პირადი და საცხოვრებელი ბინების ჩხრეკისას ამოღებულ იქნა 2 კილოგრამამდე ნარკოტიკული საშუალება „კოკაინი“ და ნახევარ კილოგრამზე მეტი ფსიქოტროპული საშუალება „კეტამინი“. ისინი, შემდგომი რეალიზაციის მიზნით, სხვადასხვა ადგილზე ათავსებდნენ ნარკოტიკებს და აღნიშნული ლოკაციების ადგილმდებარეობის ფოტოგადაღებას ახდენდნენ, შემდეგ კი სამალავების ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაციას შემკვეთებს აწვდიდნენ.

აგვისტოს ხუთდღიან ომში გაქდიდრდნენ, ხოლო უკრაინაში მთელი მსოფლიოდან ილექება მილიარდები!..

ფულზე გაჟიდული სინდისი

რა ფული იშოვეს უკრაინელმა მაღალჩინოსნებმა ომის დროს, ამის შესახებ პერიოდულად ისმის ბრალდებები, მათ შორის, საქართველოშიც. ბოდბელი მიტროპოლიტი მეუფე იაკობი დარწმუნებულია, რომ ისინი, ვინც უკრაინაში საქართველოს ლანძღვით არიან დაკავებულნი, სინამდვილეში, თავად არიან გასაკონტროლებელნი, მაგრამ ომის დროს მათი საქმეებით არავინ დაინტერესდება.

„ომში ბევრი უკრაინელი გამდიდრდა, მათ შორის, ისეთებიც, ვინც საქართველოს წინააღმდეგ გამოდიოდნენ“, — აცხადებს ბოდბელი მიტროპოლიტი, რომელიც ადასტურებს, რომ რუსი ოკუპანტია და ეს ყველამ იცის, თუმცა ვისთან ერთადაც ვიდექით და სოლიდარობა გვქონდა, მათ ერთგულებით არ გვიპასუხეს.

საუბარია იმაზე, რომ ევროკავშირში მიღების კანდიდატობის დროს რამდენიმე ბალტიისპირელი გამოვიდა, ევროპარლამენტის დეპუტატი და გვებრძოდა. ასევე, საქართველოს გაწევრიანებას არ ემხრობოდა მინისტრის მოადგილე უკრაინიდან, საქართველო არ უნდა მიიღოთო.

„პოდოლიაკი იმავეს ამბობდა, პრეზიდენტი იმავეს ამბობდა. ომში ბევრი ფულს შოულობს. ომი დამთავრდება და ნახავთ, რამდენი უკრაინელი გამდიდრდა, მილიარდერი გახდა, ისინიც კი, ვინც საქართველოს უტევენ“, — ამბობს მეუფე იაკობი.

ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა მეუფე იაკობი უკრაინის მაღალჩინოსნებს ფულის კეთებაში ამხელს. ჯერ კიდევ მარიამობის დღესასწაულზე მეუფე ირწმუნებოდა, რომ „არახამიამ ომში მილიარდი იშოვა, ჭორიკანა დედაკაცივით დგას და გველაპარაკება. ეს ჩემი მოგონილი არ არის. თავის ქვეყანას მიხედოს, ჩვენ ჩვენსას მივხედავთ“.

„ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე **ნანა კაკაბაძე** აცხადებს, რომ უკრაინის მაღალჩინოსნების მიერ ომის დროს ფულის შოვნის შესახებ რა უნდა ვთქვათ, როცა 2008 წლის აგვისტოს ორდღიან ომში მილიარდერები გახდნენ კეზერაშვილებიც და სხვა დანარჩენებიც და დღეს კეზერაშვილის ფულისთვის ხოცავს ერთმანეთს ე.წ. ოპოზიციად წოდებული კრიმინალური მაფია.

„რა თქმა უნდა, ომში უდიდესი ფული კეთდება, არ ვიცი, რამდენად მართალია, მაგრამ უკვე იწერება, 40 მილიარდი აქვს ზელენსკისო. ეს არ არის პატარა ფული, ადამიანმა ერთ ომში რომ იშოვოს.

რის ხარჯზე მოხდა ეს? ამდენი ადამიანის, უკრაინელის სიცოცხლის ხარჯზე, ამდენი ვაჟკაცი ჯარისკაცის ხარჯზე, რომელიც გულანთებული იბრძვის თავისი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის და მართლაც სამამულო ომი ჰგონია, მილიონობით ადამიანი გახდა დევნილი საკუთარი ქვეყნიდან.

სამარცხვინოა, ამის ხარჯზე რომ გახდები მილიარდერი. სამწუხაროდ, ეს მოაქვს ომს. თუკი უსინდისო ადამიანების ხელშია ძალაუფლება, ისინი ამ შანსს იყენებენ და ხდებიან მილიარდერები“, — აღნიშნა ნანა კაკაბაძემ.

მანვე განმარტა, რომ აფხაზეთის ომის დროსაც შეიმჩნეოდა ფულის კეთების მცდელობა, უბრალოდ, აფხაზეთის ომში არ იყო ასეთი დაფინანსება და ასეთი დახმარება. მთელი მსოფლიოდან არავინ ეხმარებოდა საქართველოს აფხაზეთის ომში, ის კი არა, ცენტრიდანაც არ ჩადიოდა დახმარება, შევარდნაძის ხელისუფლება იარაღს არ აწვდიდა მებრძოლებს და ხალხი „ტრაფეინი“ იარაღით ომობდა.

„სახალხო პარტიის“ ლიდერი **მამუკა გიორგაძე** იზიარებს მოსაზრებას, რომ ომის დროს ფული კეთდება, ომში ფულს ნაძირლები აკეთებენ და ეს ნაძირლები ყველა ქვეყანაშია. მამუკა გიორგაძე იხსენებს, რომ საქართველოში აფხაზეთის ომის დროსაც კეთდებოდა ფული და ის ხალხი, ვინც მაშინ ამ საქმით იყო დაკავებული, დღეს მორალს გვიკითხავს.

„ცხინვალის ომის დროს არ გაკეთდა ფული? ის ხალხიც დღეს ჭკუას გვარიგებს, როგორ უნდა მოვიქცეთ და კიდევ პოლიტიკასა და ბიზნესში არიან ეს ადამიანები. ამიტომ სხვა ქვეყანაში ომის დროს ფულის გამკეთებელი ხალხი კი არ უნდა ვამხილოთ, არამედ ჯერ ჩვენს ქვეყანაში მყოფი ნაძირლები უნდა გამოვავლინოთ. მათ პასუხი უნდა აგონ და უნდა გამოვიძიოთ, რა მოხდა აფხაზეთის ომის დროს, რატომ დაეცა გაგრა, ვინ გაყიდა გაგრა, ვინ გაყიდა სოხუმი, ცხინვალი, კოდორი“, — აღნიშნა მამუკა გიორგაძემ ჩვენთან საუბრისას.

„უკრაინამაც არ შეისწავლა, რა მოხდა 2014 წელს ყირიმში, რატომ გაიყიდა ყირიმი ტყვიის გაუსროლად? რა ხდებოდა ოკუპირებულ დონეცკში, სად გადიოდა ქვანახშირი? გაზი?“ — აცხადებს მამუკა გიორგაძე, რომლის თქმითაც, ნაძირლები უკრაინაშიც ბევრია, მათ შორის, უკრაინის ხელისუფლებაშიც.

მამუკა გიორგაძის თქმით, უკრაინაში დიდია კორუფციის მასშტაბი. ევროკავშირში გაწევრიანებისთვის უდიდესი პრობლემაა უკრაინაში არსებული კორუფცია. იქაურმა ოლიგარქებმა სწორედ უკრაინის გაღატაკების ხარჯზე იშოვეს ფული.

მოამზადა
მანანა ნოზაძემ

ᲗᲔᲐ ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲐᲜᲘ:
ᲔᲙᲐ ᲒᲘᲒᲐᲣᲠᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲗ „ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲒᲐᲛᲭᲕᲘᲠᲕᲐᲚᲝᲑᲐ-ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ“ ᲠᲔ�პᲣᲢᲐᲪᲘᲐ ᲡᲬᲠᲐᲤᲘ ᲢᲔᲛᲞᲘᲗ ᲓᲐᲘᲜᲒᲠᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲓᲐ

ᲗᲔᲐ ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲐᲜᲡ კითხვა დაუსვეს, „საერთაშორისო გამჭვირვალობამ“ და ISFED-მა გუშინ თქვეს, რომ არ აპირებენ ელენე ხოშტარიას რუსული ფულის წარმომავლობის შესწავლას, წულუკიანმა აღნიშნა, რომ ეს დამოკიდებულება არ გაკვირვებია.

„ეკა გიგაურისგან გასაკვირი არ არის, რადგან ის არის მათი პოლიტიკური დაჯგუფების წევრი, უკვე მრავალი წელია, ხელში აქვს ჩაგდებული არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელსაც იყენებს და აყენებინებს სხვებს პოლიტიკური მიზნებისთვის.

რეალურად გვახსოვს გამჭვირვალობა როგორ დაფუძნდა ჩვენს ქვეყანაში რამდენად დიდი და მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა წარსულში, მაგრამ ამ ხელმძღვანელის პირობებში, რეალურად ეს არასამთავრობო ორგანიზაცია ძალიან სწრაფი ტემპით დაინგრა და განადგურდა მისი რეპუტაცია.

სწორედ ასეთი შერჩევითი მიდგომებით, როდესაც რამდენიმე წლის წინ ეს და სხვა ორგანიზაციები დასხდნენ ღია ეთერში და მოითხოვეს მაშინდელი იუსტიციის მინისტრის გადადგომა, მათ ვუპასუხე, რომ ისინი იყვნენ პოლიტიკური პარტიები და არა არასამთავრობო ორგანიზაციები. ეს მაშინ მოწმენდილ ცაზე მეხივით გავარდა, შეიშმუშნენ და იუკადრისეს.

წლებმა აჩვენა, რომ დიახ, ისინი ნამდვილად რამდენიმე წელია, უკვე ყალიბდებიან პოლიტიკურ პარტიებად. ეს არის ძალიან დიდი დარტყმა საქართველოში არასამთავრობო სექტორისთვის და მისი სიჯანსაღისთვის. მეტი რა დიაგნოზი შეიძლება ერთმა ადამიანმა მეორეს დაუსვას, ეს არის ჩემი შეფასება. რაც შეეხება ISFED-ს, ამაზე საერთოდ ლაპარაკიც არ ღირს იმის მერე, რაც ქართველ საზოგადოებას, ჩვენს ამომრჩეველს აკადრეს არაერთი ტყუილის სახით“, – განაცხადა წულუკიანმა.

ᲖᲐᲐᲚ ᲐᲜᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ:
ᲜᲐᲪᲔᲑᲘ ᲒᲐᲣᲙᲣᲚᲛᲐᲠᲗᲔᲑᲣᲚ ᲐᲖᲠᲡ ᲐᲠ ᲘᲪᲕᲚᲘᲐᲜ!

ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲣᲠᲘ ნაცმოძრაობა, რომელშიც მოიზრება მისი გამონაყოფი პარტიებიც, თვლის რომ მათი მმართველობის ავტორიტარიზმი, დამყარებული უხეშ ძალაზე, იყო სრულიად გამართლებული, – წერს ანალიტიკოსი ზაალ ანჯაფარიძე სოციალურ ქსელში.

მისივე თქმით, დღეს ეს შემადგენლობა ხელისუფლებაში დასაბრუნებლად იბრძვის სწორედ იმ რეპრესიული „წესრიგის“ დასაბრუნებლად.

„ეს დაადასტურა ამ დღეებში მათმა რამდენიმე არცთუ რიგითმა წარმომადგენელმა. ხელისუფლებიდან ჩამოშორების 10 წლისთავზეც კი კოლექტიური „ნაცები“ ოდნავადაც არ იცვლიან აზრს, და გულწრფელად თვლიან რომ რეპრესიული მეთოდებით უნდა შეეჩვიათ ხალხი მათ წარმოსახვაში არსებული ახალი „წესრიგისათვის“, ანუ გამოეძერწათ მორჩილი, უსამშობლო, ყველაფრისგან დაცლილი ახალი „ბიომასა“ როგორც მათი ერთი იდეოლოგი უწოდებდა. ახალი რეპრესიული „წესრიგი“ მხოლოდ ამ „ბიომასისთვის“ იყო განკუთვნილი. ის რა თქმა უნდა არ ეხებოდა „ნაცმოძრაობას“ და მის ელიტებს, რომლებსაც ყველაფრის უფლება ჰქონდათ, კორუფციის ჩათვლით. დღეს ეს შემადგენლობა ხელისუფლებაში დასაბრუნებლად იბრძვის, სწორედ იმ რეპრესიული „წესრიგის“ დასაბრუნებლად“, – წერს ანჯაფარიძე.

ᲙᲐᲮᲐ ᲙᲐᲚᲐᲫᲔ:
„ᲙᲔᲖᲔᲠᲝᲕᲘᲩᲔᲑᲘᲡ“ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ

„ᲙᲔᲖᲔᲠᲝᲕᲘᲩᲔᲑᲘᲡ“ განცხადებები ნამდვილად არ არის საინტერესო, როგორც კი დასრულდება „გოცირიძის“ მეტროს ექსპლუატაციაში მიღების პროცესი, მაშინვე გაიხსნება, – ამის შესახებ დედაქალაქის მერმა, კახა კალაძემ მეტროს სადგურ „გოცირიძის“ გახსნის ვადებზე და ანტიკორუფციული მოძრაობის ბრალდებების შესახებ დასმული შეკითხვის პასუხად განაცხადა.

მისი ინფორმაციით, „გოცირიძის“ მეტროს სამუშაოები დასრულებულია. „კეზეროვიჩების“ განცხადებები ნამდვილად არ არის საინტერესო. რაც შეეხება „გოცირიძის“ მეტროს, სამუშაოები დასრულებულია და მიმდინარეობს ექსპლუატაციაში მიღების პროცესი. როგორც კი დასრულდება ექსპლუატაციაში მიღების პროცესი, მაშინვე გაიხსნება“, – აღნიშნა კალაძემ.

ანტიკორუფციული მოძრაობის აღმასრულებელი დირექტორის, ლაშა ფარულავას განცხადებით, „ის, რომ მეტროს სადგური „გოცირიძე“ ჯერ კიდევ არ არის გახსნილი, ნათელი დადასტურებაა, როგორ ჭაობშია თბილისის მერია – კორუფციის, გულგრილობის, უპასუხისმგებლობის“. მისივე თქმით, მეტროს სადგურ „გოცირიძის“ რეაბილიტაციაზე ხელშეკრულება კომპანია „მამისონთან“ შარშან გაფორმდა და სამუშაოები 7 თვეში უნდა დასრულებულიყო, თუმცა სადგური მგზავრებს ამ დრომდე ვერ ემსახურება.

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲩᲔᲠᲒᲝᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲠᲝᲛᲐᲜ ᲒᲝᲪᲘᲠᲘᲫᲔᲡ „ᲩᲐ-ᲠᲔᲪᲮᲐᲕᲡ“!

„ᲢᲐᲒᲣᲚᲐᲡ“ დამფუძნებელი თამარ ჩერგოლეიშვილი „ნაცმოძრაობის“ წევრის რომან გოცირიძის ფეისბუქსტატუსს პასუხობს, რომლის თანახმად გოცირიძემ აღნიშნა, რომ კვლავ გახშირდა მოწოდებები პარლამენტის დატოვების შესახებ. გოცირიძის აზრით, პარლამენტის დატოვებაში გამოსავლის ძიება წყალწაღებულის ხავსზე მოჭიდებას ჰგავს.

ჩერგოლეიშვილი გოცირიძეს პასუხობს:

„ნამდვილად ხავსზე მოჭიდებაა უპრინციპო ხალხზე მოწოდება, თუ ვინმეს იმედი აქვს, რომ თქვენგან რამე გამოვა. ჩვენ მხოლოდ მამხილებელი მიზნებით ვსაუბრობთ ამაზე, თორემ იმედი კი არ გვაქვს რომ წესიერად მოიქცევით.

იოლად რომ ჩაგრეცხოთ მერე, მაგას ვაკეთებთ“, – წერს ჩერგოლეიშვილი გოცირიძის საპასუხოდ.

ᲠᲝᲪᲐ ᲛᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲡᲐᲥᲕᲔᲧᲜᲝᲓ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ, ᲩᲘᲩᲮᲘᲢᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲑᲔᲠᲗᲣᲑᲐᲜᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡᲝ, ᲦᲐᲚᲐᲢᲘᲐ, ᲛᲐ ᲠᲐ ᲯᲐᲜᲓᲐᲑᲐᲐ...

ᲯᲝᲜᲓᲘ ᲑᲐᲦᲐᲗᲣᲠᲘᲐ:
ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲓᲐᲐᲕᲐᲚᲔᲡ, ᲘᲡᲔ ᲒᲐᲐᲕᲚᲔᲡ ᲮᲐᲖᲘ

„...ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲡᲗᲐᲜ შეხება არ მქონია. დავით გარეჯს რაც შეეხება, ძალიან ხშირად ვყოფილვარ. გადავდიოდით მათ შორის იმ ტერიტორიაზე, სადავო რომ გახდა. 2006-2007 წლიდან ჩვენი გადასვლა გაართულეს. 2007 წლის შემდეგ ოპოზიციაში გაჩნდა ეჭვი, რომ ხელისუფლების მხრიდან არაჯანსაღ დამოკიდებულებას აქვს ადგილი. პოლიტიკური ლიდერების მხრიდან იყო განცხადებები, რაც აჩენდა განცდას, რომ ადგილი აქვს ღალატს. 2007 წელს იყო განცხადება, რომელიც ადასტურებს, რომ ეს საკითხი კომისიის დონეზე არ წყდებოდა. გამოიკვეთა, რომ მაშინდელი პრეზიდენტი სააკაშვილი შედიოდა ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებში აზერბაიჯანის ხელისუფლებასთან, საზღვარი ისე გავლებულიყო, რომ სტრატეგიული სიმაღლეები და ფერდის ერთი მხარე აზერბაიჯანს გადასცემოდა. 2012 წლამდე რამდენჯერმე გვქონდა მცდელობა, ამ საქმისთვის რეზონანსი მიგვეცა. დროებით ლაგდებოდა ვითარება, რომ არ უნდა დაგვეძაბა პარტნიორ და მეზობელ ქვეყანასთან ურთიერთობა. ვხსნიდით ამ თემას დღის წესრიგიდან, როცა ვიგებდით, რომ ბერები გაატარეს, იმ იმედით, რომ ეს თემა დალაგდებოდა. 2012 წელს მყარად ამოვიდნენ, აღარც ბერებს და აღარც მონასტრის წინამძღვრებს ატარებდნენ. შეუვალები გახდნენ.

საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილის, ნინო კალანდაძის განცხადებამ დიდი ეჭვი გააჩინა, რომ აქ ღალატს აქვს ადგილი. ქვეყნის მთავარსარდალი გაიპარა იტალიაში, ფოტოები გავრცელდა, მაღაზიებში დადიოდა, ძვირიან საათებს არჩევდა იმ დროს, როდესაც გარეჯში დაძაბული ვითარება იყო. პარლამენტში მისი იმპიჩმენტი მოვითხოვეთ და ბრალი დავდეთ ქვეყნის ღალატში. მთავარსარდალი რომ აკეთებს განცხადებას, მე მთხოვა მეზობელი ქვეყნის პრეზიდენტმა, რომ მას უნდა სტრატეგიული სიმაღლე, ეს სტრატეგიული სიმაღლე ქედის წვერზეა. იმპიჩმენტის საკითხი 2012 წელს დავაყენე. ვიცოდი, რომ ჩავარდებოდა, მაგრამ ამას პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა.

2007 წელს პრეზიდენტი პირდაპირ ამბობდა, მე დავავალე, ხაზი ისე გაივლოს, რომ სტრატეგიული სიმაღლე იმათ დარჩეთო. რაღაც დოკუმენტია შედგენილი, რომლის საფუძველზეც, აზერბაიჯანელი მესაზღვრეები წინსწრებით ამოვიდნენ და დადგნენ. როდესაც მელაშვილი აქტიურად დადიოდა მედიაში და ერთ-ერთ გადაცემაში აქტიურად ამტკიცებდა, რაც შენი არ არის, არ არის შენი, ჩიჩხიტური და ბერთუბანი არ არის ჩვენიო, ღალატი დავარქვი“, – განაცხადა ბაღათურიამ.

ოთარ შამუგია: მევენახეებმა მოსავალი დააბინავეს და კარგი შემოსავალიც მიიღეს

უკვე ჩამთავრდა სოფლად რთველი და ყურძნის კრეფა...

კახეთსა და რაჭაში რთველი, ფაქტობრივად, დასრულებულია და ამ ეტაპზე, მიმდინარეობს ლეჩხუმში. **რამდენიმე დღეში პროცესი მთლიანად დასრულდება. ჩვენი მთავარი დაპირება იყო, რომ რთველი ჩატარდებოდა ორგანიზებულად, ყველა მევენახე სრულად ჩააბარებდა ყურძენს და მიიღებდა შემოსავალს. ეს დაპირება შესრულებულია,** – განაცხადა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, რთველმა ჩაიარა ორგანიზებულად; კახეთის რეგიონში, დაახლოებით, 21 ათასზე მეტმა მევენახემ 250 მლნ ლარის შემოსავალი მიიღო. დაახლოებით 11 მლნ ლარის შემოსავალი მიიღეს მევენახეებმა რაჭაში. მთლიანობაში, სახელმწიფოს მხრიდან რთველის მხარდაჭერისთვის მიმართული რესურსი, რთველის სუბსიდირების პროგრამის ფარგლებში, რომელიც მთავრობის გადაწყვეტილებით განხორციელდა, დაახლოებით, 100 მლნ ლარს შეადგენს.

„მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და თითოეულ მევენახეს, რომელმაც გაწია შრომა, რომ მიეღო მოსავალი, გადავუხადო მადლობა. ასევე, მინდა მადლობა გადავუხადო იმ უწყებებს, ვინც ჩართული იყო პროცესში – ღვინის ეროვნულ სააგენტოს, ასევე, ადგილობრივ ხელისუფლებას, რათა ჩვენს მევენახეებს საშუალება ჰქონოდათ, ორგანიზებულად, წარმატებულად და შეფერხებების გარეშე ჩაებარებინათ ყურძენი. ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც უნდა აღინიშნოს – ჩვენ მიერ განხორციელებული ღონისძიებების და ინიციატივების შედეგად, ჩვენ შევძელით, რაც იყო კიდეც დაპირება, რომ კერძო სექტორის ჩართულობა მაქსიმალურად გაგვეზარდა. რაჭაში მოსავლის თითქმის 100% კერძო სექტორმა ჩაიბარა, ხოლო კახეთს რაც შეეხება, დაახლოებით, 75% -ზე მეტი ყურძენი ჩაბარებული იქნა კერძო კომპანიების მიერ. ეს ჯანსაღი პროცესია. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პროცესში სახელმწიფოს ჩართულობა იყოს უფრო ნაკლები და კერძო სექტორმა მიიღოს, გადაამუშაოს ყურძენი და აწარმოოს ღვინო. რა თქმა უნდა, ჩვენ ხელს ვუწყობთ ღვინის ექსპორტის ზრდას, პოპულარიზაციას, ხელს ვუწყობთ ბაზრების დივერსიფიცირებას, არაერთ მილიონ ლარს ვხარჯავთ, რომ ჩვენი ღვინის პოპულარობა გაიზარდოს პრიორიტეტულ ბაზრებზე. ამ პროცესს გავაგრძელებთ მომავალ წელსაც და უფრო მეტ რესურსებს მივმართავთ იმისთვის, რომ კიდევ უფრო მეტ ბაზარზე იყოს ჩვენი ქართული ღვინო წარმოდგენილი“...

„ქართული ჩაი“ ცვლილებებს ახორციელებს

ჩაის პირველადი წარმოების ხელშეწყობის მიზნით, სახელმწიფო პროგრამებში ცვლილებები შევიდა. პროგრამაში „ქართული ჩაი“ ცვლილებით სარეაბილიტაციო ფართობის მოცულობა 5 ჰექტრიდან 3 ჰექტრამდე შემცირდა და მეჩაიე ფერმერებს შესაძლებლობა ეძლევათ, 50%-იანი თანადაფინანსებით შეისყიდონ ჩაის საკრეფი ხელის ტექნიკა.

პროგრამის „ქართული ჩაი“ ბენეფიციარს (გარდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისა) დაუფინანსდება – ფაქტობრივად შესრულებული სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულების 70%, მაგრამ არაუმეტეს 2 500 ლარისა 1 ჰა-ზე გაანგარიშებით. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს დაუფინანსდებათ ფაქტობრივად შესრულებული სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულების 90%, მაგრამ არაუმეტეს 3 000 ლარისა 1 ჰა-ზე გაანგარიშებით.

პროგრამის ბენეფიციარის საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაცი(ებ)ი ან/და პროგრამის ბენეფიციარის მიერ შერჩეული და სახელმწიფოსგან იჯარის უფლებით მისაღები სარეაბილიტაციო ჩაის პლანტაცი(ებ)ის ფართობი უნდა იყოს მინიმუმ 3ჰა და 300 ჰა;

„მოსავლის ამღები სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების“ პროგრამაში შესული ცვლილებებით მეჩაიე ფერმერებს შესაძლებლობა ეძლევათ, 50%-იანი თანადაფინანსებით, არაუმეტეს 500 ლარისა შეისყიდონ ჩაის ხელის საკრეფი ტექნიკა. საქართველოში არსებული ჩაის პლანტაციების პოტენციალის ეფექტიანად გამოყენება, ადგილობრივი ჩაის (მათ შორის, ბიო-ჩაის) წარმოების ზრდის ხელშეწყობა, შედეგად კი, თვითუზრუნველყოფის დონის ამაღლება და საექსპორტო პოტენციალის გაზრდა სოფლის განვითარების სააგენტოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია.

ველოდებით 120 000 ტონა ვაშლს!

ჭირნახულის დაბინავება აქტიურად მიმდინარეობს

მიმდინარე წელს, ვაშლის საპროგნოზო მოსავალი 120 ათას ტონას აღემატება ძირითადად, ეს არის შიდა ქართლის რეგიონი, სადაც ვაშლის მოსავლის 70% იწარმოება, – ამის შესახებ ინფორმაციას სოფლის მეურნეობის სამინისტრო ავრცელებს.

უწყების ცნობით, არასტანდარტული ვაშლის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, სახელმწიფო სუბსიდირების პროგრამას ახორციელებს.

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, სოფლის განვითარების სააგენტო 1 კგ არასტანდარტულ ვაშლზე 10 თეთრის ოდენობის სუბსიდიას გასცემს. სახელმწიფო სუბსიდიას იღებენ ხილის გადამმუშავებელი ის კომპანიები, რომლებიც 2022 წლის 15 დეკემბრამდე მეხილეობის სფეროში დასაქმებული ფიზიკური პირებისგან 1 კგ არასტანდარტულ ვაშლს არანაკლებ 24 თეთრად შეისყიდიან.

„30 ოქტომბრის მდგომარეობით, გადამმუშავებელი კომპანიების მიერ, მიღებულია 35,467 ტონაზე მეტი არასტანდარტული ვაშლი, რის შედეგადაც ფერმერებმა 8,6 მილიონ ლარზე მეტი შემოსავალი მიიღეს, მათ შორის, სახელმწიფო სუბსიდია 3,5 მლნ ლარს აღემატება.

არასტანდარტული ვაშლის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის პროგრამა საშუალებას აძლევს ფერმერებს, მათთვის მისაღებ ფასად ჩააბარონ დაბალხარისხიანი ვაშლი.

ამავე დროს, ხელს უწყობს ხილის გადამმუშავებელი საწარმოების ნედლეულით უზრუნველყოფას. აღსანიშნავია, რომ არასტანდარტული ვაშლის გადამუშავებით მიღებული კონცენტრატის რეალიზაცია, მეტწილად, ევროკავშირის ბაზარზე ხორციელდება.

სახელმწიფო პროგრამაში ჩართულ საწარმოებში არასტანდარტული ვაშლის ორგანიზებულად ჩაბარების მიზნით, ქალაქ გორში საკოორდინაციო შტაბი მოქმედებს. არასტანდარტული ვაშლის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის პროგრამაში 15 გადამამუშავებელი საწარმოა ჩართული შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, კახეთის, მცხეთა-მთიანეთისა და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონიდან.

„შეღავათიანი აგროკრედიტის“ პროექტის ფარგლებში, არასტანდარტული ვაშლის შემსყიდველ საწარმოებზე კრედიტი საბრუნავი საშუალებებისთვის, გაიცემა მხოლოდ არასტანდარტული ვაშლის მიღებისა და გადამუშავების მიზნობრიობით.

დარგის განვითარებისთვის, გრძელდება ევროპული ტიპის ბაღების გაშენება, რომელზეც მოთხოვნა საერთაშორისო ბაზრებზე იზრდება.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო პროგრამის „დანერგე მომავალი“ ბაღების კომპონენტში მიმდინარე წლის 31 ოქტომბერს განაცხადების მიღება განახლდა.

2022 წლის 1 აგვისტოდან 30 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში განხორციელდა 1 257 ტონა ვაშლის ექსპორტი, რომლის ღირებულებამ 814 ათასი აშშ დოლარი შეადგინა“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

საერთაშორისო პროექტებში საქართველოს პოტენციალი ძალიან მნიშვნელოვანია!

ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა ძალიან მნიშვნელოვანი რეგიონული სტრატეგიული პროექტია, რომელიც საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის მჭიდრო კავშირების ანარეკლია. ეს პროექტი არის დამაკავშირებელი ხიდი ევროპასა და აზიას შორის, რაც შესაძლებელს ხდის ტვირთების მოზიდვას სხვადასხვა ქვეყნიდან.

ამის შესახებ REPORT-ს საგარეო პოლიტიკის საკითხებში ქართული ანალიტიკური ცენტრის GEOGASE-ის მკვლევარმა **ნიკოლოზ ხატიაშვილმა** განუცხადა.

ჩინეთი და ზოგადად აზია აქტიურად ვაჭრობენ ევროპასთან სხვადასხვა სატრანსპორტო დერეფნების გამოყენებით, მათ შორის საზღვაო მარშრუტებით და ჩრდილოეთის მარშრუტი რუსეთის გავლით. უკრაინაში მიმდინარე ომმა ფუნდამენტურად შეცვალა გეოპოლიტიკური ვითარება მსოფლიოში, რამაც გავლენა მოახდინა ვაჭრობასა და ეკონომიკაზე. როდესაც რუსეთში საქონლის ტრანზიტი მცირდება, აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის დერეფნის გასწვრივ ტვირთბრუნვა ყოველდღიურად იზრდება“, – განაცხადა მან.

ექსპერტმა დასძინა, რომ აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის დერეფნის გასწვრივ ტვირთების გადაზიდვის მოცულობის ზრდა მნიშვნელოვნად ზრდის ამ ქვეყნების შემოსავალს, ქმნის სამუშაო ადგილებს და დადებითად აისახება ეკონომიკაზე. გარდა ამისა, ეს გაზრდის მთელი რეგიონის უსაფრთხოებას.

ხატიაშვილის თქმით, ბოლო თვეებში ევროკავშირის სტრატეგიული მიზანი იყო რუსეთის ენერგორესურსებზე დამოკიდებულების შემცირება და ამ მიზნის მისაღწევად საუკეთესო გზა არის ენერგიის მიწოდების ალტერნატიული ჯაჭვების ძიება.

„ერთ-ერთი საუკეთესო მიწოდების მარშრუტი გადის აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის დერეფნის გავლით, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია კასპიის აუზის ენერგორესურსების ტრანსპორტირება ევროპაში. ჩვენ უკვე ვნახეთ აზერბაიჯანის გაზის მიწოდების ზრდა ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენის მეშვეობით და ეს მოცულობა მომავალში კიდევ გაიზრდება“, – აღნიშნა ექსპერტმა.

„აზერბაიჯანი ასევე აქტიურად მუშაობს ელექტროენერგიის ახალ პროექტებზე, მათ შორის ელექტროენერგიის ექსპორტზე. იმის გათვალისწინებით, რომ ევროკავშირში, გაზისა და ნავთობის პარალელურად, ელექტროენერგიაზე მოთხოვნა იზრდება. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აზერბაიჯანი გახდეს ელექტროენერგიის ერთ-ერთი მიმწოდებელი.

საქართველო, რომელსაც აქვს შესაბამისი ინფრასტრუქტურა, მიმზიდველი გეოპოლიტიკური პოზიცია და შესაბამისი გამოცდილება ენერგეტიკულ პროექტებში, აუცილებლად გახდება ტრანზიტული ქვეყანა აზერბაიჯანიდან ელექტროენერგიის ევროპაში ექსპორტისთვის“, – დასძინა მან.

გამოჩენილი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე

შუშანა ფუტკარაძე - 80

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია მიესალმება და დაბადების 80 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 55 წლისთავს ულოცავს ცნობილ ენათმეცნიერს, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოკულტუროლოგიურ პრობლემათა მკვლევარს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მეცნიერს, ქალბატონ შუშანა ფუტკარაძეს.

შუშანა ფუტკარაძე დაიბადა 1942 წლის 15 თებერვალს, შუახევის რაიონის სოფელ ლომანაურში. 1959-1964 წწ. სწავლობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. 1978 წელს მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის, ხოლო 1999 წელს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. 1964 წლიდან მუშაობს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 2002 წლიდან ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელია.

ქალბატონი შუშანა წლების მანძილზე მუხლჩაუხრელად ემსახურება ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კუთხეების — აჭარის, ტაო-კლარჯეთის, ფოცხოვ-ჩილდირის, ერუშეთის ისტორიას, ფოლკლორს, ონომასტიკას, ეთნოგრაფიასა და მეტყველების კვლევას. მისი სადოქტორო დისერტაციის თემა: „ქართული ენის სამხრულ-დასავლური დიალექტების თავისებურებანი ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და მუჰაჯირი ქართველების მეტყველების მიხედვით“ აუცილებელად მოითხოვდა თურქეთის რესპუბლიკაში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წარმართვას.

შეიძლება ითქვას, რომ მან, ნიკო მარის, რომლის მოგზაურობის დღიურები ჯერ კიდევ სტუდენტობაში ჰქონდა შესწავლილი, 1904 წლის მოგზაურობიდან 85 წლის შემდეგ, პირველმა მოინახულა საქართველოს ძირძველი კუთხე ტაო-კლარჯეთი, სადაც **„მინცხამ გურჯიჯა არ იცის, იმას ქართველ კაცად არ თვლიან“,** სადაც **„ქართული მეტად რთული ისტორიის წიაღშია აღმოცენებული, რომელშიც ისმის ამ მიწის ზედაპირზე დატრიალებული ავბედითი ქარტეხილების გამოძახილი“.**

შუშანა ფუტკარაძემ დააფიქსირა და იკვლია მრავალფეროვანი დიალექტოლოგიურ-ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალა. როგორც თავად აღნიშნავს: „ოპიზარებისა და ოშკელების შთამომავალთა ბაგეებზე აყვავებულ ქართულ სიტყვას ჰკრეფდა, სიტყვის კონას ჰკრავდა, საქართველოში ჩამოსატანად ამზადებდა, რომ დედასამშობლოში დედაენის საგანძურში შენახულიყო სამუდამოდ“.

მისი დამსახურებაა ძირძველი ქართველი მოსახლეობისა და მუჰაჯირი ქართველების მეტყველების თავისებურებების შესწავლა და ამის საფუძველზე იმერხეულის, ტაოურის, ნიგალურის და ზედა მაჭახლურის ცალ-ცალკე ქართულ კილოდ, წიგნში „ჩვენებურების ქართული“, გამოყოფა, რაც ფრიად საინტერესო აღმოჩნდა ზოგადი ენათმეცნიერებისთვის, რადგანაც თანდართული ტექსტები და მდიდარი ლექსიკონი ენათმეცნიერთა კვლევის წყაროდ იქცა და ზოგიერთი სიტყვის კვლევა, პრექართულ დონემდეც კი მიდის. მისი დასკვნით: **„ოთხ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში თურქულ ენობრივ გარემოში მოქცეული მუჰაჯირთა ქართული დღემდე ცოცხლობს და ინარჩუნებს თავისთავადობას. ცხადია, უცხო ენის გავლენით ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ ძირითადი ლექსიკური ფონდი და გრამატიკული წყობა უმთავრესად უცვლელი დარჩა. აქაურთა მეტყველებას შენარჩუნებული აქვს ასი-ასორმოცდაათი წლის წინანდელი აჭარული დიალექტის იერსახე. რაც შეეხება ტაოკლარჯულს, ეს დიალექტური წრე ახლოს დგას აღმოსავლურ ქართულ ენობრივ სამყაროსთან, კერძოდ, მესხურ-ჯავახურთან; ამიტომ ბუნებრივად მიგვაჩნია ქართული ენის სამხრულ-დასავლურ დიალექტებს ზოგადად ვუწოდოთ „მესხური“.**

შუშანა ფუტკარაძის ნაშრომები: „წერილები სტამბულის ქართული სავანიდან“, „სტამბოლის ქართული სავანე“ (ქართულ და თურქულ ენებზე გამოცემული („Istanbul gurcu ocagi“), რომლებიც თურქეთში ქართული კულტურული მემკვიდრეობის კვლევას ეხება, დიდი ხანია, სამაგიდო წიგნებადაა ქცეული. მისი ხელმძღვანელობით შესწავლილ იქნა და აღიწერა სტამბოლის ქართული სავანის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი 83000 ერთეულით და 10000 -ზე მეტი ერთეულის მქონე ამავე სავანის არქივი.

ვისაც პროფესორი შუშანა ფუტკარაძე არ გაუგია, უწიგნურია!..

ქალბატონი შუშანას მიერ მოპოვებული მასალები XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან XX საუკუნის 80-იან წლებამდე პერიოდის საქართველოს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ვითარებას ასახავს. მათ შორისაა საზღვარგარეთ გახიზნული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობის ამსახველი უცნობი დოკუმენტებიც. მათში **წარმოჩენილია არაერთი ისტორიული პიროვნება, ისეთები, როგორიცაა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღმშენებელი გიორგი ჯვარელი, შოთა რუსთაველის თანამედროვე პოეტი იოანე შავთელი, მართა იერუსალიმელი, წამებული მღვდელმთავარი თევდორე აჭარელი, ახმედ და აბას ათაბაგები — თავისუფლებისათვის წამებულნი ფოცხოვიდან, ენვერ, ფიქრიე და მელაათ ხიმშიაშვილი, ისკენდერ-ეფენდი ცივაძე, დაუდი ხანუმ ბეჟანიძე და სხვა მრავალი.**

ქალბატონმა შუშანამ სათანადოდ შეაფასა ზაზაძეების ოჯახის დამსახურება ქართული კულტურის კვლევა-შენახვის საქმეში და თურქი ხალხის როლი სტამბოლის ქართულ სავანეთში შემონახული საგანძურის (ეკლესია-მონასტრების, მდიდარი ბიბლიოთეკის, ძვირფასი არქივის, უნიკალური სამუზეუმო ექსპონატების) მოვლა-პატრონობაში.

შუშანა ფუტკარაძის ნაშრომების კრებული „ლიტერატურულ-ენათმეცნიერული ეტიუდები“, მესხეთჯავახეთსა და აჭარაში შეკრებილი ისტორიულ-ენათმეცნიერული ჩანაწერები „ხალხური მარგალიტები“, „საბერძნეთისა და ოსმალეთის სამეფო კარის ქართველი დედოფლები“, „ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო“, „ტაოკლარჯული კილოები“ და სხვა., სამეცნიერო წრეებში დიდ ყურადღებას იპყრობს.

შუშანა ფუტკარაძის მიერ თურქეთში, სოფ. ხოხლევიდან დაწყებული ქართული ენის შესწავლა-კვლევის გზა, თანდათან აზვირთდა და ქართველების ისტორიის, ეთნოგრაფიის, ფოლკლორისტიკის შემატებით, ინტერდისციპლინარულ სამეცნიერო შემოქმედებად იქცა. სხვანაირად ხომ შეუძლებელი იქნებოდა, რადგანაც იმ გარემოცვაში მოხვედრილი მეცნიერი იქაურ ყოფას, კულტურასა და ისტორიას, რამაც განაპირობა ქართველთა უცხო მხარეში საუკუნეების მანძილზე თითქმის უცვლელად არსობა, გვერდს ვერ აუვლიდა.

მოგვიანებით შუშანა ფუტკარაძე იხსენებს: „ბევრი ცრემლნარევი ლექსი დამაწერინა ისტორიულ ტაოკლარჯეთთან დაკავშირებულმა სევდამ, მუჰაჯირი ქართველების გულდათუთქულმა ქართულმა, სტამბოლში მოღვაწე ქართველი სასულიერო პირების მიერ 120 წლის მანძილზე ქართული კულტურის კერადქცეული, ამჟამად ობლად დარჩენილი მონასტრის მწუხარებამ, სახელოვანი გვარიშვილების — აბაშიძეების, ბეჟანიძეების, თავდგირიძეების, ლორთქიფანიძეების, ხიმშიაშვილების — წარმომადგენელთა ნოსტალგიამ. შერიფ ბეგ ხიმშიაშვილის შვილთაშვილებმა — ენვერ ბიძამ და მელაათ-ხანუმმა იმდენი ცრემლი ღვარეს ჩემთან საუბარში, იმდენი სასიყვარულო, მოსაფერებელი სიტყვები თქვეს ნიგაზეულის, სხალთის, ხულოს მიმართ, რომ დამაწერინეს ლექსი „მენატრები, ჩემო ხულო“... „სამშობლოდან იძულებით გადახვეწილი ჩვენებურების ნაღველჩამდგარი თვალებიდან მონაწური ცხელი ცრემლები ქვასაც კი წვავს და ადნობს. ამ გრძნობას მშობელი მიწის სიყვარული ჰქვია. ახალგაზრდების გასაგონად ვამბობ: არავინ ისურვოს მშობელი მიწის მიტოვება და უცხოეთში გახიზვნა, თორემ სანანებელი, გულსაკლავი ნაღველი შვიდ თაობას მაინც გადაჰყვება. ცნობილმა მომღერალმა ბაიარ შაჰინმა-გუნდარიძემ ამ ლექსის შესაბამისი მუსიკა შექმნა და სიმღერად აქცია.“

შუშანა ფუტკარაძე არის ხულოსა და შუახევის რაიონების საპატიო მოქალაქე, წმ. ტბელ აბუსერისძის პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი, ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებაში შეტანილი წვლილისათვის დაჯილდოებულია გევონდ ალიშანის საპატიო მედლით და სხვადასხვა უწყების მიერ გაცემული საპატიო სიგელებით, მაგრამ ჩვენი აზრით, საუკეთესო შეფასება ხალხის წიაღიდან, უბრალო ადამიანების მიერ უბრალოდ გადმოცემული სიტყვაა: **„ვისაც პროფესორი შუშანა ფუტკარაძე არ გაუგია, უწიგნურია“.**

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია გულითადად ულოცავს ქალბატონ შუშანა ფუტკარაძეს 80 წლის იუბილეს. უსურვებს ჯანმრთელობას და დღეგრძელობას ახალი სამეცნიერო კვლევების განსახორციელებლად, წარმატებას, რათა ჭეშმარიტად საშვილიშვილო საქმეს **„ქართველი ერის გენეტიკური კოდის სიძლიერისთვის“** მუდამ ღირსეულად ემსახუროს. და, როგორც მის ჩანაწერშია ნათქვამი: **„გვამშვიდობოს ღმერთმა“.**

როინ მეტრეველი,
აკადემიკოსი,
ლია მელიქიშვილი,
მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ყველასთვის საყვარელი კომპოზიტორი იუბილარია

კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, რუსთაველის თეატრის დიდ სცენაზე კომპოზიტორ ნუნუ გაბუნიას შემოქმედებითი საღამო ჩატარდა.

კონცერტი, მომღერლის 80 წლის საიუბილეო თარიღს მიეძღვნა. საღამოზე, თბილისის სიმფონიური ორკესტრისა და სოლისტი ვოკალისტების მონაწილეობით, ნუნუ გაბუნიას ის ნაწარმოებები შესრულდა, რომლებიც წლების განმავლობაში სიმფონიური ორკესტრისთვის შეიქმნა.

მსმენელმა კომპოზიტორის აქამდე უცნობი მუსიკალური საბალეტო დადგმების, ოპერეტებისა და ანიმაციური ფილმების კომპოზიციები მოისმინა.

„სიყვარულით საქართველოსთვის“

ამ სახელწოდების პროექტის ფარგლებში, საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითმა კავშირმა ქართულ საფორტეპიანო საღამოს უმასპინძლა. სოლო-საფორტეპიანო შესრულება და დუეტები ქართველმა მუსიკოსმა და პიანისტმა თამარ ბარდაველიძე-თორემ სტუდენტებთან ერთად წარადგინა.

საღამოზე ქართული ნაწარმოებები ლონდონელმა პიანისტმა ნილ დუ ფრიზინმაც შეასრულა.

თბილისიდან... პირდაპირ ნიუ-იორკში?!

საქართველოსა და ამერიკას შორის შესაძლოა, პირდაპირი ავიამიმოსვლა განხორციელდეს

საქართველოსა და ამერიკას შორის პირველი საცდელი ფრენა, სავარაუდოდ, 2022 წლის ბოლოს, ან 2023 წლის დასაწყისში განხორციელდება. პირველ წელს კვირაში ორი რეისის შესრულება იგეგმება.

როგორც საქართველოში აშშ-ის ელჩი **კელი დეგნანი** აცხადებს, პირდაპირი ავიამიმოსვლა იქნება ძალიან მნიშვნელოვანი ხიდი აშშ-სა და საქართველოს შორის. ელჩის თქმით, ამაზე დისკუსია და მოლაპარაკებები შეწყდა კოვიდის პერიოდში, კოვიდის შემდეგ კი, სავარაუდოდ, კვლავ დაიწყება.

„ვფიქრობ, ყველამ, ვისაც უმგზავრია აშშ-დან საქართველოში და პირიქით, იცის, რა არაჩვეულებრივი იქნებოდა პირდაპირი ავიარეისები. ზოგჯერ რთულია ამერიკელების დარწმუნება, რომ ჩამოვიდნენ საქართველოში (შორი მანძილის გამო), თუმცა არასდროს ჭირს მათი დარწმუნება, კიდევ დაბრუნდნენ აქ მას შემდეგ, რაც საქართველოს სტუმართმოყვარეობას გამოცდიან“, — აღნიშნა ელჩმა, რომელმაც საქართველო - აშშ-ის შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების მნიშვნელობაზეც ისაუბრა.

საქართველო - აშშ-ს შორის პირდაპირი ფრენების შესაძლო დაწყება ჯერ კიდევ ყოფილმა პრემიერმა მამუკა ბახტაძემ 2019 წელს დააანონსა. წინასწარი ინფორმაციით, აღნიშნულ მიმართულებაზე რეისებს ავიაკომპანია „Air Georgia“ შეასრულებს, რომელიც სამ წელზე მეტია ამ პროექტზე მუშაობს.

აღნიშნული პროექტისთვის შესაბამისი ფლოტი იყო საჭირო. როგორც ცნობილია, ამერიკელები ასე უბრალოდ პირდაპირ ავიარეისებს არ ნიშნავენ, მათ გააჩნიათ ფედერალური საავიაციო ადმინისტრაციის პროცედურა, რომლის მიხედვითაც ხდება როგორც ავიაკომპანიების, ისე აეროპორტების და საავიაციო ხელმძღვანელობის შემოწმება. ძირითადად ეს არის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის პროცესი.

საქართველო-ამერიკას შორის პირდაპირი ავიარეისების დანიშვნა მაღალმხარჯველუნარიანი ამერიკელი ტურისტების რაოდენობას გაზრდის.

რა მნიშვნელობა ეძნება პირდაპირ ავიამიმოსვლას და შეუძლია თუ არა რუსეთს, დაბლოკოს ეს პროექტი?!

ანალიტიკოსი **ნიკა ჩიტაძე** აცხადებს, რომ პირდაპირი ავიამიმოსვლა ამერიკის შეერთებულ შტატებთან დადებითად აისახება საქართველოს ეროვნულ ინტერესებზე, თუმცა, ამავე დროს, უნდა გამარტივდეს საქართველოს მოქალაქეებისთვის ვიზების გაცემა აშშ-ის მხრიდან. საუბარია იმაზე, რომ გარკვეული დროით ვიზების გაცემა შეწყვეტილია, საქართველოს ბევრი მოქალაქე ვერ იღებს ამერიკის ვიზას, რადგან პროცედურულ პრობლემებთან არის ეს დაკავშირებული.

„ამერიკის ვიზა თუკი საერთოდ გაიცემა, ეს ვიზა ათწლიანია. მე პირადად ათწლიანი ვიზა მაქვს, მაგრამ გარკვეული პრობლემები უკვე არის. ვფიქრობ, ისევ აღდგება საქართველოს მოქალაქეებისთვის ვიზების გაცემა. პირდაპირი ავიამიმოსვლა მოასწავებს აშშ-ის გეოპოლიტიკური გავლენის ზრდას სამხრეთ კავკასიის რეგიონში, რაც უშუალოდ შეესაბამება საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების და საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებს. ამერიკა-საქართველოს პირდაპირი ავიარეისი ჩვენ აქამდე არ გვქონია. სტამბულიდან დაფრინავდნენ ამერიკაში, არის რეისი სტამბული-ნიუ-იორკი, კიევიდანაც არსებობდა რეისები ამერიკაში, მაგრამ თბილისი-ამერიკის რეისი არ ყოფილა“, — აცხადებს ნიკა ჩიტაძე.

რაც შეეხება მიგრაციული პროცესის ზრდას, ანალიტიკოსი ამბობს, რომ **ტრამპის ადმინისტრაციის დროს აშშ-მა გაამკაცრა მიგრანტების მიღების, ამერიკაში შესვლის პროცედურები, რადგან აშშ პირველ ადგილზე იყო მსოფლიოში მიგრანტთა რაოდენობით. დაახლოებით 50 მილიონამდე უცხოელი მიგრანტი ცხოვრობს აშშ-ის ტერიტორიაზე. დღესაც ამერიკა, ალბათ, შეზღუდავს მიგრანტთა მიღებას, თუმცა უკრაინელ მიგრანტებს პროცედურებს შედარებით გაუადვილებს.**

ანალიტიკოსი თვლის, რომ **პირდაპირი ავიარეისების დანიშვნით შეიძლება მიგრაციის მასშტაბი საქართველო- ამერიკას შორის მნიშვნელოვნად არ გაიზარდოს, მაგრამ საქართველოსა და ამერიკის მოქალაქეებს შორის მგზავრთა მისვლა-მოსვლა გამარტივდება. ხელი შეეწყობა ამერიკის მხრიდან რბილი ძალის გამოყენებას, რომ საქართველოში პროდასავლური, პროამერიკული განწყობები გაიზარდოს.**

რაც შეეხება რუსეთს, ცხადია, საქართველო-ამერიკის პირდაპირი ავიამიმოსვლა რუსეთზე ნეგატიურად აისახება. რუსეთს არ აწყობს ამერიკის გავლენის გაძლიერება სამხრეთ კავკასიის რეგიონში, შეიძლება, საქართველოს გამწარების მიზნით ახალი მავთულხლართები აღმართოს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, შედარებით გადმოწიოს საოკუპაციო ხაზი საქართველოს ტერიტორიის სიღრმეში, დააკავოს საქართველოს მოქალაქეები, განათავსოს ისინი ცხინვალის იზოლატორში. მოკლედ, რა ბერკეტებიც რუსეთს გააჩნია, იმ ბერკეტებს რუსეთი აუცილებლად გამოიყენებს...

მანანა ნოზაძე

საშუალო რგოლის 2000-ლარიანი ანაზღაურების მქონე ქართველებიც ტოვებენ საქართველოს!

ბაზარზე კადრების დეფიციტი უფრო და უფრო მწვავდება. თუ აქამდე სავაჭრო და სადისტრიბუციო კომპანიები შედარებით დაბალი რანგის თანამშრომლების გადინებას უჩიოდნენ, ახლა უკვე საშუალო რგოლის შენარჩუნებაც პრობლემას წარმოადგენს. ამ შემთხვევაში დაბალი ხელფასის მიზეზად დასახელება ვერ გამოდგება.

როგორც hr.ge-ს მენეჯერი **ინგა შახბაზიანი** აცხადებს, კომპანიები ვერ ახერხებენ კადრებით დაკომპლექტებას და როგორც წესი, ხელმეორედ აცხადებენ ვაკანსიებს. დასაქმებულების მაძიებელ სექტორებს შორის ყველაზე აქტიური გაყიდვების სფეროა.

„კადრებს ყველა სექტორი ეძებს, თუმცა პირველ ადგილზე გაყიდვების კატეგორიაა - 24%-ით, მეორეა ჰორეკა სექტორი — 17%-ით. ასევე მაღალია მოთხოვნა საბანკო საფინანსო და სამედიცინო სფეროდან. ასევე გაიზარდა მოთხოვნა აიტი სფეროშიც, რომელიც პანდემიამდე ასეთი აქტუალური და აქტიური არ იყო, ახლა კი ჯამური განცხადებების დაახლოებით 6%-ს შეადგენს.

ჩვენ სამუშაოს მაძიებლებს ვითვლით ორგვარად, ერთი არის საიტზე ვიზიტორები, რადგან ვინც დაინტერესებულია ის შემოდის და ამ კუთხით საიტის რეიტინგი გაზრდილია, მაგრამ, თუ ვიმსჯელებთ რეგისტრაციებით — იქ კლებაა. ადრე თუ რეგისტრირდებოდა 150-200 სამუშაოს მაძიებელი, ახლა მათი რიცხვი დაახლოებით 100-120-ია.

ვაკანსიები სამუშაოს მაძიებლებზე ბევრად მეტია. ადრე თუ ერთ ვაკანსიაზე იგზავნებოდა 150 რეზიუმე, დღეს ეს ციფრი მაქსიმუმ 10 და 20-ია. კლება თვალსაჩინოა. კომპანიები ვერ ახერხებენ კადრებით დაკომპლექტებას და როგორც წესი, ხელმეორედ აცხადებენ ვაკანსიებს“, — განაცხადა „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას **ინგა შახბაზიანმა.**

ვაჭრობის და მომარაგების სფეროს რომ თანამშრომლების მხრივ უმძიმესი პერიოდი უდგას, ადასტურებს დისტრიბუტორთა ასოციაციის ხელმძღვანელი ივა ჭყონიაც. თუ აქამდე, სადისტრიბუციო კომპანიები შედარებით დაბალი რანგის თანამშრომლების გაადინებას უჩიოდნენ, ახლა უკვე საშუალო რგოლიც პრობლემას წარმოადგენს.

„კიდევ უფრო კრიტიკული სიტუაციაა, ვიდრე მანამდე იყო. იმიტომ, რომ თუ აქამდე გარკვეული პრობლემები გვქონდა შედარებით დაბალ რანგზე, ვისაც პროდუქცია უნდა მიეტანა, ახლა უკვე საშუალო რანგის თანამშრომლებზეც იგივე ვითარებაა. სამწუხაროდ, მაღალია მათი გადინება ქვეყნიდან.

მე ამას ვერანაირად ვერ დავუკავშირებ მხოლოდ სახელფასო პოლიტიკას, იმიტომ, რომ როდესაც მისი საშუალო ხელფასი 2500-დან 4000-5000 ლარამდე მერყეობს და მაინც გადაწყვეტს, რომ ქვეყანა დატოვოს, ვფიქრობ, ის არ არის მხოლოდ შემოსავალზე ორიენტირებული. აქ ალბათ, უფრო მასშტაბური პრობლემაა, ის ვერ ხედავს პერსპექტივას და იუმედოდაა აქ განწყობილი.

მესმის, საუბარი იყოს თანამშრომელზე, რომელსაც ხელფასი აქვს 500-დან 1000 ლარამდე და ქვეყანა დატოვოს, მაგრამ როდესაც უკვე 2000-დან 5000 ლარამდე ხელფასიან, საშუალო რანგის თანამშრომელზეა საუბარი, რომელიც ქვეყანას ტოვებს ოჯახით, ეს ძალიან ცუდია ჩვენი ქვეყნისთვის. ვფიქრობ, სახელმწიფოს პოლიტიკური გადაწყვეტილება აქვს მისაღები“, — განაცხადა **ივა ჭყონიამ.**

რაც შეეხება გადამზადების ცენტრს, რომელიც კურსდამთავრებულების გარანტრებულ დასაქმებას გულისხმობს, დისტრიბუტორთა ასოციაციის ხელმძღვანელი ამბობს, რომ მიმართვიანობა ძალიან დაბალია.

ბეჭა დანელია

სამედიცინო მომსახურების დაფინანსების რეფორმა ძალაში შევიდა!

ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში ჩართულ კლინიკებთან ანგარიშსწორება დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფებით (DRG) დაფინანსების მოდელით მოხდება. DQG სისტემით, ავტომატურად გამოითვლება ის სამართლიანი ფასი, რასაც სახელმწიფო, მოქალაქეების ხარისხიანი მკურნალობისთვის გადაიხდის.

„როგორც ჯანდაცვის მინისტრი, ზურაბ აზარაშვილი აცხადებს სახელმწიფო ზრუნავს მოქალაქეების ჯანმრთელობაზე და აქტიურად მუშაობს, რათა სამედიცინო სერვისები გახდეს კიდევ უფრო ხელმისაწვდომი და ხარისხიანი. ახალი მეთოდის დანერგვის შემდეგ, ერთსა და იმავე მომსახურებას, ყველა კლინიკაში, ერთი ტარიფი ექნება. პაციენტი მხოლოდ იმ თანხას გადაიხდის, რასაც საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში, თანაგადახდის წილი (0-დან 30%-მდე, პაკეტების შესაბამისად) ითვალისწინებს. კლინიკა კი საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში ჩართულ პაციენტს, დამატებით გადასახადს ვეღარ დაუწესებს. ჯანდაცვის მინისტრი აღნიშნავს, რომ უწყება თანაგადახდის ნაწილსა და მიწოდებული მომსახურების ხარისხს მკაცრად გააკონტროლებს.

DQG, მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში, დაფინანსების ფართოდ აპრობირებული მოდელია. ახალი სისტემით დაფინანსების მოცულობას პაციენტის დიაგნოზი, ასაკი, ჰოსპიტალიზაციის ხანგრძლივობა და სხვა კრიტერიუმები განსაზღვრავს. მეთოდი მთლიანად აუმჯობესებს ჯანდაცვის სისტემის ეფექტურობას და იძლევა საშუალებას, რომ ფინანსური რესურსი, რაც აქვს ჯანდაცვის სისტემას, მეტად მოხმარდეს პაციენტის საჭიროებებს“, — აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

მთავარი არხი

კულტურის სამინისტრო: ტელეკომპანია „მთავარის“ კიდევ ერთი მიუტევებელი სიცრუე!

„30 ოქტომბერს ილიას უნივერსიტეტის უსინდისო მატყუარებზე დაყრდნობით!

30 ოქტომბერს, ტელეკომპანია „მთავარმა“ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს შესახებ კიდევ ერთი ყალბი ინფორმაცია გაავრცელა, კერძოდ, ტელევიზიის ეთერით ვარძიის კლდეში ნაკვეთ კომპლექსთან დაკავშირებით გავიდა სიუჟეტი, რომელშიც ითქვა, თითქოს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო და სამინისტროს სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს ყურადღებას არ აძცევენ და მას შეგნებულად აზიანებენ“, — აღნიშნულია უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

სიუჟეტში აღინიშნა, რომ „კულტურის სამინისტრომ იტალიელი ექსპერტებისა და UNESCO-ს კათედრის ხელმძღვანელის, ავტორიტეტული ექსპერტის, კლაუდიო მარგოტინის შეფასება არ გაითვალისწინა და მეტიც — იტალიელ გეოლოგთა ჯგუფისთვის ვარძიის კომპლექსი სრულიად ჩაკეტა“. სამინისტრო განმარტავს, რომ აღნიშნული ინფორმაცია სრული სიცრუეა.

„სინამდვილეში, კულტურის სამინისტროსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს არათუ არ შეუწყვეტიათ ურთიერთობა იტალიელ ექსპერტებთან, არამედ, მათთან კოორდინაციით, დღესაც, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაკვეთით, მიმდინარეობს ვარძიის კლდეში ნაკვეთი კომპლექსის კრიტიკული უბნების გამაგრება-სტაბილიზაცია, რის შესახებაც სააგენტომ საზოგადოებას ინფორმაცია მიმდინარე წლის 19 ოქტომბერს ვარძიის სამონასტრო კომპლექსის შესახებ გავრცელებული განცხადების მეშვეობით მიაწოდა.

ამჟამად, დასრულების ეტაპზეა ტელეკომპანია „მთავარის“ სიუჟეტში ნახსენები იტალიელი სპეციალისტის, სრული პროფესორის, ინჟინერ-გეოლოგ კლაუდიო მარგოტინის პროექტის შესაბამისად მიმდინარე ვარძიის კლდის დაზიანებული მონაკვეთების გამაგრება-სტაბილიზაციის სამუშაოები ანკერირება/ინექტირების მეთოდით სამ კრიტიკულ უბანზე (არეალი C, არეალი E და არეალი F). მეტიც — მიმდინარე წლის 8 ივლისს გაიმართა მორიგი სამუშაო შეხვედრა კლაუდიო მარგოტინსა და კულტურული მამკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელობას შორის და ამ შეხვედრაზე, იტალიელი ექსპერტის რეკომენდაციების საფუძველზე, ვარძიის კლდეში ნაკვეთ კომპლექსთან დაკავშირებით 2023 წლის ერთობლივი სამოქმედო გეგმაც შემუშავდა, რომლის ფარგლებშიც, ქართული და იტალიური მხარეების მჭიდრო თანამშრომლობით ძეგლზე პრევენციული სამუშაოები შესრულდება.

შესაბამისად, სიუჟეტში მოყვანილი ინფორმაცია, თითქოს კულტურის სამინისტრომ ვარძია იტალიელი ექსპერტებისთვის სრულად ჩაკეტა და ძეგლის მოვლა-პატრონობისთვის არაფერს აკეთებს, სრული სიცრუეა. ის მიზნად ისახავს საზოგადოების შეცდომაში შეყვანას და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დისკრედიტაციას.

აღსანიშნავია ისიც, რომ სიუჟეტში რესპონდენტები იყვნენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლები და მასალაც სწორედ მათზე დაყრდნობით მომზადდა. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსთვის განსაკუთრებით დასანანია ამ დეზინფორმაციის გავრცელებაში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლების მონაწილეობა“!

სამების საკათედრო ტაძრის მგალობელთა გუნდს სახელმწიფო სტატუსი მიენიჭა!

საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე, ვატიკანში წარმატების შემდეგ, ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძრის მგალობელთა გუნდს სახელმწიფო სტატუსი ენიჭება და მას „საქართველოს სახელმწიფო კამერული გუნდი“ ეწოდება, — ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, სსიპ საქართველოს სახელმწიფო კამერული გუნდი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მმართველობის სფეროში განახორციელებს საქმიანობას.

გუნდის მიზნებია: ქართული ტრადიციული გალობის, ქართული ხალხური და ახალი პროფესიული მუსიკის შესრულება, განვითარება და პოპულარიზაცია, ქართული ტრადიციული საგალობლებისა და ქართული ხალხური მუსიკის მოძიება-შესწავლა, ახალგაზრდა მგალობელ-მომღერალთა შემოქმედებითი აღზრდა და განვითარება, საშემსრულებლო დონის ამაღლება, გალობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების აღდგენა, ქართული გალობა-სიმღერის ტრადიციის სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად აუდიო-ვიდეო ჩანაწერების შექმნა და გამოცემა.

კულტურის სამინისტროს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია ხალხური ხელოვნების განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა და დარგის პოპულარიზაცია, საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი კი ხელს შეუწყობს გუნდისთვის სათანადო პირობების შექმნას ზემოაღნიშნული მიზნების უკეთ განსახორციელებლად.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კულტურის სამინისტრო აქამდეც აქტიურად უჭერდა მხარს გუნდის მგალობლებს, მათ შემოქმედებით განვითარებასა და წარმატებას.

კერძოდ, მიმდინარე წელს უწმინდესის და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის, ინიციატივით, კულტურის სამინისტროს ძალისხმევითა და საქართველოში ვატიკანის ელჩის აქტიური მხარდაჭერით, 26-29 ივნისს სვიმონ ჯანგულაშვილისა და გიორგი დონაძის ხელმძღვანელობით სამების საკათედრო ტაძრის საპატრიარქო გუნდი ვატიკანში გაემგზავრა. ამ ვიზიტის ფარგლებში, პირველად საქართველოს ისტორიაში, სიქსტის კაპელაში ქართველი მგალობლების კონცერტი გაიმართა. გუნდმა ქართული საგალობლებისა და მრავალხმიანობის 20-მდე უნიკალური ნიმუში შეასრულა, ხოლო წმინდა პეტრეს ტაძარში, მას შემდეგ, რაც რომის პაპმა ფრანცისკემ პეტრეპავლობის დღესასწაულთან დაკავშირებით მესა აღავლინა, ქართველმა მგალობლებმა სოლისტ იანო ალიბეგაშვილთან ერთად შეასრულეს უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის, „ავე მარია“.

კონცერტის პირდაპირი ტრანსლაცია მთელ მსოფლიოში გადაიცემოდა. წმინდა პეტრეს ტაძარში შესრულდა ქართული საგალობლებიც. ამ ვიზიტისას, გუნდის ვიზიტთან დაკავშირებული საორგანიზაციო, პროტოკოლური და ფინანსური საკითხები კულტურის სამინისტრომ უზრუნველყო. **იმავე პროექტის ფარგლებში, ვატიკანში გამგზავრებამდე, კულტურის სამინისტრომ მგალობელთა გუნდისთვის შეიძინა სასცენო სამოსი და აქსესუარები. აღნიშნული პროექტისთვის სამინისტრომ 267 452 ლარი გამოყო.**

ქართული დიასპორა ონკოლოგიურ დაავადებულ ბავშვებს ეხმარება

30 ოქტომბერს ირლანდიის დედაქალაქ დუბლინში ჩატარდა მომღერალ ლაშა ღლონტის საქველმოქმედო კონცერტი, სახელწოდებით „ქართული მუსიკა“, — ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს საგარეო უწყება ავრცელებს. **უწყების ცნობით, კონცერტიდან შემოსული თანხა სოლიდარობის ფონდს გადაეცემა და ონკოლოგიურად დაავადებული ბავშვების მკურნალობას მოხმარდება.**

საქველმოქმედო კონცერტში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე ფოლკლორულმა ბენდმა„კავკასიონი“. ღონისძიებაზე დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს საქართველოს ელჩმა ირლანდიაში **გიორგი ზურაბაშვილმა,** საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ **ვლადიმერ კონსტანტინიდმა,** სოლიდარობის ფონდის დირექტორმა **ეკატერინე ფესტვენიძემ,** დუბლინის მერის მოადგილემ **ჯოანა ტუფიმ** და ირლანდიაში ქართული დიასპორის ხელმძღვანელმა **ლელა შურუპოვამ.**

„ირლანდიაში, დუბლინის ცენტრში, ასობით ჩვენი თანამემამულე შეიკრიბა, რათა მხარდაჭერა გამოუცხადონ სოლიდარობის ფონდს, ჩვენს პატარა თანამემამულეებს და თანადგომა გამოხატონ იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც მძიმე დაავადებას ებრძვიან. მართალია, ქართული დიასპორისთვის ქველმოქმედება უცხო არ არის, მაგრამ ამ ფორმითა და ასეთი ჩართულობით, შეიძლება ითქვას, რომ ეს უპრეცედენტო ღონისძიებაა. დიდი იმედი გვაქვს, რომ ირლანდიაში ქართულ დიასპორას ჩვენი სხვა სათვისტომოებიც მიბაძავენ“, — აღნიშნა ვლადიმერ კონსტანტინიდმა.

„ქართული დიასპორა გაერთიანდა ისეთი უმნიშვნელოვანესი საერთო მიზნის ირგვლივ, როგორიცაა ონკოლოგიური დიაგნოზის მქონე ბავშვების მხარდაჭერა სოლიდარობის ფონდის მეშვეობით. ფონდი არაერთი წელია საქველმოქმედო საქმიანობას ეწევა და აქამდე ძირითადად საქართველოში მცხოვრებ პირთა ქველმოქმედებას ეყრდნობოდა.

ახალი კი შეიქმნა ძალიან მნიშვნელოვანი და კარგი პრეცედენტი, ვინაიდან ეს ქველმოქმედება საქართველოს საზღვრებს გასცდა. ირლანდიაში ქართულმა დიასპორამ ნათლად აჩვენა, რომ მზადაა, მხარი დაუჭიროს თავის თანამემამულეებს საქართველოში და იმ ბავშვებს, რომლებიც დღეს ძალიან რთულ გზას გადიან“, — განაცხადა ეკატერინე ფესტვენიძემ.

ცირკის განვითარების ხელშეწყობა

საცირკო ხელოვნების განვითარების ხელშესაწყობად კონკურსი გამოცხადდა. კონკურსის შესახებ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა ბრიფინგზე ისაუბრა.

კულტურის სამინისტრომ ეს კონკურსი წელს პირველად გამოაცხადა. აქამდე, ობიექტური მიზეზების გამო, ათწლეულების მანძილზე, სახელმწიფოს საცირკო ხელოვნების ხელშეწყობისთვის არ გადაუდგამს ქმედითი ნაბიჯები. ამ ხარვეზზე არაერთხელ მიაქციეს სამინისტროს ყურადღება დაინტერესებულმა პირებმა და, ასევე, დეპუტატებმა „მინისტრის საათის“ ფორმატში.

კონკურსის, „ცირკის განვითარების ხელშეწყობა“, მიზანია საცირკო ხელოვნების განვითარება და პოპულარიზაცია საქართველოში მოქმედი ცირკის პროფესიული თუ სამოყვარულო დასების, ჯგუფების, დამოუკიდებელი არტისტების შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობის გზით. კონკურსის ბიუჯეტია 80 000 ლარი.

კონკურსის ფარგლებში მიიღება პროექტები, რომლებიც ითვალისწინებს პროფესიული თუ სამოყვარულო საცირკო დასების, მათ შორის — მობილური საცირკო დასების, ე.წ. შაპიტოს, ჯგუფებისა და დამოუკიდებელი არტისტების ხელშეწყობასა და სხვადასხვა საჭირო (შემოქმედებითი, სასწავლო და/ან მატერიალურ-ტექნიკური) ხარჯით უზრუნველყოფას.

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს, რომელთაც აქვთ საცირკო ხელოვნების ნებისმიერ ჟანრში საგანმანათლებლო თუ შემოქმედებითი საქმიანობის გამოცდილება. კონკურსში შეიძლება უპირატესობა მიენიჭოს კონკურსანტს, რომელიც წინასაახალწლოდ გამართავს საცირკო წარმოდგენებს საქართველოს რეგიონებში. კონკურსანტს მხოლოდ ერთი საპროექტო განაცხადის წარმოდგენა შეუძლია.

საკონკურსო დოკუმენტები უნდა იყოს ქართულ ენაზე.

მსოფლიოს უმდიდრესი ოჯახები

როკფელერების ქონებას ვერსად მიაგნეს!

უოლტონების ოჯახი, რომელიც ფლობს მსოფლიოში უდიდეს საბითუმო და საცალო ქსელს Walmart-ს, მეოთხე წელია მსოფლიოში უმდიდრესი ოჯახების სიაში ლიდერობს.

Walmart-მა ოჯახის ქონება 224,5 მილიარდ დოლარად შეაფასა, რითაც დგინდება, რომ წლის განმავლობაში ოჯახის ქონება 13,7 მილიარდი დოლარით შემცირდა.

Walmart დააარსა ბიზნესმენმა სემ უოლტონმა 1962 წელს. დღეს მსოფლიოს მასშტაბით Walmart-ის მაღაზიების რაოდენობა 10,5 ათასს აჭარბებს. კომპანიის შტაბ-ბინა მდებარეობს ბენტონვილში (არკანზასი), კომპანიის შემოსავალი 573 მილიარდი დოლარია. უოლტონების ოჯახი Walmart-ის ქსელის აქციების 47%-ს ფლობს.

უმდიდრესი ოჯახის ტოპ 10-ში ასევე შედიან:

— მარსების ოჯახი, საკონდიტრო ნაწარმისა და პროდუქტების მწარმოებელი Mars-ის მფლობელები — ოჯახის ქონება 160 მილიარდი დოლარი;

— კოხების ოჯახი, ამერიკული პეტროქიმიური კორპორაციის Koch Industrues-ის მფლობელები — ოჯახის ქონება 124,4 მილიარდი დოლარი;

— საუდის არაბეთის სამეფო ოჯახი ალ საუდი — ოჯახის ქონება $105 მილიარდი;

— ემრეს ოჯახი, ფრანგული მოდის სახლის Hermes-ის მფლობელები — ოჯახის ქონება $94,6 მილიარდი;

— ამბანის ოჯახი, ინდური ნავთობის წარმოებისა და გადამამუშავებელი ჰოლდინგის Reliance Industries-ის მფლობელები — ოჯახის ქონება $84,6 მილიარდი;

— ვერტეიმერის ოჯახი, ფრანგული მოდის სახლის Chanel-ის მფლობელები — ოჯახის ქონება $79 მილიარდი;

— კარგილის ოჯახი, სოფლის მეურნეობის კომპანია Cargill-ის მფლობელები — ოჯახის ქონება $65,2 მილიარდი;

— ტომსონების ოჯახი, საინფორმაციო სააგენტო Reuter-ის საკონტროლო პაკეტის მფლობელები — ოჯახის ქონება $61,2 მილიარდი;

— ჰოფმანების ოჯახი, შვეიცარიული ფარმაცევტული კომპანია Roche Holding-ის უმცირესობის მფლობელები — ოჯახის ქონება $45,1 მილიარდი.

საერთო ჯამში Bloomberg-ის რეიტინგში 25 ოჯახი მოხვდა.

Bloomberg-ის მონაცემებით, მსოფლიოს უმდიდრესი 25 ოჯახის ერთობლივი სიმდიდრე 1,5 ტრილიონი დოლარია, რაც 143 მილიარდი დოლარით ნაკლებია წინა წელთან შედარებით. ამავდროულად, სააგენტო აღნიშნავს, რომ ზოგიერთი სუპერ მდიდარი ოჯახის მდგომარეობა, როგორიცაა როკფელერები, არ არის გათვალისწინებული, რადგან მათი აქტივებისთვის კვალის მიგნება საკმაოდ ძნელია.

უძრავი ქონების ფასი ისევ მაღალია!

უძრავი ქონების ბაზარზე მოთხოვნაც და ფასიც მაღალ ნიშნულზე ნარჩუნდება. ასე ხდება არა მარტო საქართველოში, არამედ მეზობელ ძვეყნებშიც. მიზეზი, რასაკვირველია, ომი და მისგან გამოწვეული მიგრაციაა.

„თიბისი კაპიტალის“ ახალი კვლევის მიხედვით, სექტემბერში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 30%-ით მეტი საცხოვრებელი ფართი გაიყიდა მაშინ, როდესაც ფასი წლიურად 20%-იან ზრდას აჩვენებს.

პიკურად გაზრდილია უძრავი ქონების ქირის ფასი, რისი მთავარი მიზეზი მიგრანტების დიდი ტალღაა. კერძოდ, სექტემბერში ფასი წლიურად 73.5%-იან ზრდას აჩვენებს, წინა თვესთან შედარებით კი ფასი მხოლოდ 0.3%-ით გაიზარდა. „თიბისი კაპიტალში“ აღნიშნავენ, რომ სექტემბრის ფასები სრულად ვერ ასახავს მიგრანტების შემოსვლის მეორე ტალღის ეფექტს და ოქტომბრის მონაცემებით, ქირის ფასის ზრდა უფრო მასშტაბური იქნება.

ამასთან, მიგრანტების ეფექტი ჯერჯერობით არ ასახულა უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვაზე და მოსალოდნელია, რომ ქირის შემდგომ გადაცემის ეფექტი სწორედ ყიდვა-გაყიდვის ნაწილზე იქნება, რაც შესამჩნევი უკვე წლის ბოლოდან გახდება. შედეგად უძრავი ქონების გაძვირებას სამშენებლო მასალების გაძვირებასთან ერთად, ხელს შეუწყობს მაღალი მოთხოვნაც, რომელიც პანდემიის შემდგომ ისედაც მუდმივ ზრდას აჩვენებს.

სანაცვლოდ, თუკი მოთხოვნა იჯარიდან ყიდვაზე გადაინაცვლებს, მოსალოდნელია, რომ 2023-2024 წლებში ქირის ფასი დასტაბილურდება.

სექტემბერში ქირის ფასი თბილისის ყველა უბანში გაიზარდა. ყველაზე დიდი ზრდა — 94% დიდ დიღომში იყო. მას მოსდევს ისანი 88%-იანი ზრდით და გლდანი 86%-იანი ზრდით.

პარალელურად, თბილისში საცხოვრებელ ბინებზე მოთხოვნამ 21%-ით მოიმატა. RECOV.GE-მ თბილისის და ბათუმის საცხოვრებელი სექტორის 2022 წლის სექტემბრის მონაცემები გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც ორივე ქალაქში ყველა სეგმენტის ბინაზე მოთხოვნა საგრძნობლად გაიზარდა.

გასული 9 თვის მონაცემებით, თბილისში საცხოვრებელ ბინებზე მოთხოვნა 21%-ით გაიზარდა 2021 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. ბაზრის ზომამ კი 1.5 მლრდ დოლარით გადააჭარბა, რაც 35%-ით მეტია 2021 წლის პირველ 9 თვესთან შედარებით.

უნდა აღინიშნოს, რომ ახალ ბინებზე მოთხოვნა განსაკუთრებით გაზრდილია საბურთალოსა და დიდ დიღომში, ძველ პროექტებში კი მოთხოვნის 16%-იანი ზრდა დასტურდება.

გაზრდილი მოთხოვნის პარალელურად, საშუალო გასაყიდი ფასის ზრდაც შეინიშნება. ქალაქის ცენტრალურ უბნებში ახალაშენებული ბინების საშუალო შეწონილი ფასი 11%-ით გაიზარდა, გარეუბნებში კი 9%-იანი ზრდა აღირიცხა.

2022 წლის ბოლო 9 თვის ტენდენციაზე დაკვირვებით, თბილისში ახალაშენებულ მედიუმ სეგმენტის ბინებზე მოთხოვნა გაორმაგდა და რეგისტრირებული ტრანზაქციების რაოდენობამ 5 000 ერთეულს გადააჭარბა.

რასაკვირველია, უძრავ ქონებაზე ასეთი არანორმალური მოთხოვნა რუსეთ-უკრაინის ომთან და მიგრაციულ ნაკადთან პირდაპირ კავშირშია და ეს მხოლოდ საქართველოში არ ხდება. რუსი და უკრაინელი მიგრანტები რეგიონის ყველა ქვეყანას მოედვნენ. სადაც კი შედარებით უსაფრთხოდ გრძნობენ თავს, უძრავ ქონებასაც იქ ყიდულობენ ან მინიმუმ გრძელვადიანად ქირაობენ.

მაგალითად, 2022 წლის 9 თვის მონაცემებით, თურქეთში ყოველი მეხუთე ქონება რუსებმა იყიდეს. ინფორაციას ადასტურებს საზღვარგარეთ უძრავი ქონების ხელშეწყობის თურქული ასოციაციის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ომერ ფარუკ აქბალი.

„9 თვეში ყოველი მეხუთე სახლი რუსეთის მოქალაქეებზე გავყიდეთ. ჩვენ გადმოვიბარეთ ლიდერობა ისეთი ქვეყნებიდან, როგორიცაა არაბთა გაერთიანებული საემიროები, ტაილანდი, მონტენეგრო და საბერძნეთი. ჩვენ გავხდით ქვეყანა, სადაც რუსები ყველაზე მეტ ქონებას ყიდულობენ“, — განაცხადა აქბალმა.

„ინჰაუს გლობალის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ ფატი ერგუვენმა კი აღნიშნა, რომ უძრავი ქონების ფასების ზრდამ ბაზარზე სტაგნაცია გამოიწვია, მაგრამ რუსეთიდან მოთხოვნა ინდუსტრიისთვის ხელსაყრელია. **„მათ შეუძლიათ 400 000 დოლარზე მეტი ღირებულების ქონების ყიდვა“,** — დასძინა ერგუვენმა.

ბექა დანელია

შეწყვიტეთ „ომისგან სარგებლის მიღება“!

აშშ-ის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი ნავთობისა და გაზის კომპანიებს მოუწოდებს, შეწყვიტონ ომისგან სარგებლის მიღება, გაზარდონ წარმოება და გამოიყენონ თავიანთი რეკორდული შემოსავალი ამერიკელებისთვის ხარჯების შესამცირებლად ან გადაიხადონ უფრო მაღალი გადასახადი, — ამის შესახებ ჯო ბაიდენმა თეთრ სახლში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

სიტყვით გამოსვლისას ბაიდენმა გააკრიტიკა მსხვილი ნავთობკომპანიები, რომლებიც დიდ შემოსავალს იღებენ მაშინ, როდესაც ინფლაციით დაზარალებული ამერიკელები ავტმობილების გასამართად მსხვილ თანხას იხდიან. ბაიდენის თქმით, ნავთობინდუსტრიამ არ შეასრულა ამერიკაში ინვესტირებისა და ამერიკელი ხალხის მხარდაჭერის ვალდებულებები. აშშ-ის პრეზიდენტის განცხადებით, ისინი არა მხოლოდ იღებენ „სამართლიან სარგებელს“, არამედ იღებენ იმდენად მაღალ შემოსავალს, რომ რთულია ამის დაჯერება.

„მათი შემოსავალი არის ომის შედეგად მიღებული მოულოდნელი სარგებელი“, — აღნიშნა ბაიდენმა. მისი თქმით, კომპანიები იღებენ შემოსავალს იმ კონფლიქტისგან, რომელიც უკრაინას ანადგურებს და მათ ეკისრებათ მოქმედების პასუხისმგებლობა. ჯო ბაიდენის თქმით, თუკი ნავთობისა და გაზის კომპანიები ამ მოგებას მომხმარებლებს გადასცემენ, საწვავის ფასი დაახლოებით 50 ცენტით შემცირდება.

ამერიკა უკრაინისთვის მიწოდებული იარაღის ინსპექტირებას იწყებს

უკრაინაში აშშ-ის შეიარაღებული ძალების სამხედროების მცირერიცხოვანი რაოდენობა გასვლით ინსპექციას ახორციელებს, რათა უზრუნველყონ, რომ უკრაინის შეიარაღებული ძალები სათანადოდ აღრიცხავენ დასავლეთის მიერ მიწოდებულ იარაღს.

აშშ-ის თავდაცვის უწყების მაღალჩინოსანს, რომელიც მედიას ანონიმურად ესაუბრა, არ უთქვამს, კონკრეტულად სად ტარდება ინსპექტირება ან რამდენად ახლოს არიან ამერიკელი სამხედროები ფრონტის ხაზთან.

მისი თქმით, ამერიკელი სამხედროები ვერ ახორციელებენ ინსპექციას ფრონტის ხაზის სიახლოვეს, თუმცა ისინი გაემგზავრებიან იქ, სადაც ამის საშუალებას უსაფრთხოების პირობები იძლევა. პენტაგონის წარმომადგენლის თქმით, ეს ძალისხმევა არის გასულ კვირას აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოცხადებული უფრო ფართო კამპანიის ნაწილი, რომელიც მიმართულია იმისკენ, რომ უკრაინისთვის მიწოდებული იარაღი არ აღმოჩნდეს რუსეთის ძალების, მათი მარიონეტების ან სხვა ექსტრემისტული ჯგუფების ხელში.

მარცვლეული გინდათ? უზრუნველყავით უსაფრთხოება!..

„ჩვენ არ ვამბობთ, რომ ვწყვეტთ ამ ოპერაციაში მონაწილეობას, არა. ჩვენ ვამბობთ, რომ ვაჩერებთ. გაეროს თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობენ მის მუშაობაში, რისთვისაც ჩვენ მათი მადლობელი ვართ. მაშინ, ჩაატარონ მათ მუშაობა უკრაინასთან და უკრაინამ უნდა გასცეს გარანტია, რომ სამოქალაქო გემებისთვის და რუსეთის მომარაგების გემებისთვის საფრთხეები არ შეიქმნება“, — განაცხადა სოჭში გამართულ პრესკონფერენციაზე რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმერ პუტინმა. გასულ შაბათს მოსკოვმა კიევი შავი ზღვის ფლოტზე თავდასხმაში დაადანაშაულა და გაეროსა და თურქეთის შუამავლობით მიღწეული, მარცვლეულის ექსპორტის შეთანხმებიდან გასვლის შესახებ განაცხადა. **პუტინის თქმით, უკრაინამ უნდა უზრუნველყოს საზღვაო დერეფნის უსაფრთხოება, რომლითაც მარცვლეულის ექსპორტი ხდება.**

ეს არ არის ყველაფერი, რისი გაკეთებაც შეგვიძლია

ასე უპასუხა რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმერ პუტინმა ჟურნალისტის კითხვას – არის თუ არა უკრაინაზე ამჟამინდელი მასირებული დარტყმები პასუხი სევასტოპოლში ბოლო მოვლენებზე.

„ნაწილობრივ ასეც არის, თუმცა ეს არ არის ყველაფერი, რისი გაკეთებაც შეგვიძლია“, – უპასუხა პუტინმა ილჰამ ალიევთან და ნიკოლ ფაშინიანთან ერთობლივი მოლაპარაკებების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტის შეკითხვას. რუსეთის პრეზიდენტს ასევე ჰკითხეს, უკრაინასთან მოლაპარაკებების გამართვის შემთხვევაში, რისი შეთავაზება შეუძლია რუსეთს.

„იმისთვის, რომ რამის შეთავაზება მოხდეს მოლაპარაკებებზე, საჭიროა, ეს მოლაპარაკებები შედგეს. მოლაპარაკებების საკუთარი პოზიციის წინასწარ გასაჯაროება ყოველთვის მიზანშეწონილი არ არის, რათა მოხდეს ეროვნული მიზნების მიღწევა... თუმცა იმისთვის, რომ მიღწეულ იქნას შეთანხმებები, საჭიროა მოლაპარაკებების მაგიდასთან დაჯდომა და მოლაპარაკება. აი, ჩვენ სტამბოლში შევთანხმდით, ისინი კი ადგნენ შემდგომ და ყველაფერი ნაგავში გადაყარეს. ახლა კი საერთოდ, როგორც თქვენ სწორად აღნიშნეთ, საკუთარ თავს აუკრძალეს ჩვენთან საუბარი. როგორ შეიძლება ვისაუბროთ შესაძლო შეთანხმებებზე, როცა იქითა მხრიდან ჩვენთან საუბრის სურვილიც კი არ არის. დაველოდებით, შესაძლოა, მომწიფდეს რამე აუცილებელი პირობები, ჩვენი კეთილი ნება ცნობილია, ის არ შეცვლილა და ეჭვქვეშ არ დაყენებულა“, – განაცხადა პუტინმა. კვირის ბოლოს მოსკოვმა კიევი შავი ზღვის ფლოტზე თავდასხმაში დაადანაშაულა.

ვოლოდიმირ ზელენსკი: რუსეთი ვერ დაიპყრობს უკრაინას ვერც არმიით და ვერც ტერორით

ზელენსკის თქმით, უკრაინის ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს ქვეყანაში წყლისა და ენერგომომარაგების აღსადგენად. ამასთან, როგორც ზელენსკიმ აღნიშნა, უკრაინა კიდევ უფრო გააძლიერებს საჰაერო თავდაცვას.

„დღეს ძალიან კარგად იმუშავებს ჩვენმა საჰაერო ძალებმა და ყველამ, ვინც ჩართულია ცის დაცვაში. ტერორისტების მიერ სამიზნეებად განსაზღვრული ობიექტების უმეტესობის გადარჩენა მოხერხდა. მხოლოდ ამ დილით ტერორისტებმა მასირებული დარტყმისთვის 55 ფრთოსანი რაკეტა გამოიყენეს, საიდანაც 45 ჩამოგდებულია. ჩვენ კიდევ უფრო გავაძლიერებთ ჩვენს საჰაერო თავდაცვას. თუმცა ახლაც ტერორისტებს უწევთ სულ მცირე ოთხჯერ მეტი რაკეტის დახარჯვა, რათა მიზანს მოახვედრონ. კიდევ უფრო ცუდი მაჩვენებელია დრონებთან დაკავშირებით, მათ შორის ირანიდან მათი მოკავშირეების მიერ მიწოდებულ დრონებთან. ამას ხედავს მსოფლიო. ვხედავთ, რომ „მსოფლიოს მეორე არმია“ უკვე თავისი ეფექტიანობით ოცდამეორეც აღარ არის. ჩვენ კი ყველაფერს გავაკეთებთ, რომ მან მეორე ასეულში გადაინაცვლოს. ეს ასე იქნება. რუს ტერორისტებს არ აქვთ ისეთი რაკეტები, რომლებიც მოხვდება უკრაინის სიცოცხლის, ცივილიზებულად ცხოვრების და ერთმანეთზე ზრუნვის სურვილს. ვერც არმიით, ვერც ტერორით რუსეთი ვერ დაიპყრობს უკრაინას“, – განაცხადა ზელენსკიმ.

ბულგარეთი უკრაინისთვის იარაღის ერთ-ერთი უდიდესი მიმწოდებელია

ბულგარეთი გახდა უკრაინისთვის იარაღის ერთ-ერთი უმსხვილესი არაპირდაპირი მიმწოდებელია, რომელმაც ომის დაწყების შემდეგ რეკორდული რაოდენობის იარაღი მიაწოდა. ექსპერტების აზრით, დღემდე ბულგარეთმა შუამავლების მეშვეობით უკრაინას მინიმუმ 1 მილიარდი ევროს ღირებულების იარაღი და საბრძოლო მასალა მიაწოდა.

ამავდროულად, ბულგარეთი და უნგრეთი ნატოსა და ევროკავშირის წევრი ქვეყნებია, რომლებიც ოფიციალურად უარს ამბობენ უკრაინაში სამხედრო დახმარების გაგზავნაზე. სახელმწიფო კომპანიის Kintex-ის ყოფილმა აღმასრულებელმა დირექტორმა ალექსანდრე მიხაილოვმა ბულგარეთიდან რეკორდული რაოდენობის იარაღის ექსპორტის შესახებ ინფორმაცია დაადასტურა. მან მოიყვანა ბულგარული იარაღის ექსპორტის მაგალითი 2016 და 2017 წლებში, როდესაც საომარი მოქმედებები გაგრძელდა სირიაში, ლიბიასა და იემენში.

რუსებმა, ბელორუსში „კინჟალის“ ჰიპერბგერითი რაკეტები ჩაიტანეს

რუსეთმა ბელორუსიაში, სავარაუდოდ, „კინჟალის“ ჰიპერბგერითი რაკეტები ჩაიტანეს. მაგრამ ამ ჭურვების მარაგი ძალიან შეზღუდულია, – ამის შესახებ ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტრო იუწყება.

ბრიტანული დაზვერვა აქვეყნებს სატელიტურ სურათებს, სადაც ბელარუსის აეროდრომში გაჩერებულია ორი MIG-31K გამანადგურებელი, რომელსაც შეუძლია Dagger-ის რაკეტების ტარება. დაზვერვაში აცხადებენ, რომ თვითმფრინავების მახლობლად ინახებოდა კონტეინერი, რომელიც, სავარაუდოდ, დაკავშირებულია „კინჟალის“ საჰაერო ბალისტიკურ რაკეტებთან. ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ რუსეთი ამ რაკეტებს 2018 წლიდან იყენებს, მაგრამ ბელორუსიაში ისინი აქამდე არ დაფიქსირებულა. გარდა ამისა, ბრიტანულმა დაზვერვამ განმარტა, რომ ბელორუსში მათი განლაგება რუსეთის ფედერაციას მცირე დამატებით უპირატესობას ანიჭებს.

„ომის რიცხვები“?



რიცხვები ჭეშმარიტად მართავენ სამყაროს, მაგრამ მათი ყველა საიდუმლო კაცობრიობისთვის როდია ცნობილი

ზოგჯერ შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ჩვენ რაღაც მატრიცაში ვარსებობთ, სადაც ყველაფერს რაღაც ძალა განაგებს. დიდი ალბათობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ჩვენი სხეულისა და თავის ტვინის შესაძლებლობები იმთავითვე კოდირებულია, ამდენად, ჩვენ მხოლოდ იმ ცოდნის მატარებელნი ვართ, რაც ჩვენთვის საჭიროდაა მიჩნეული. ამის წყალობით, კაცობრიობა ადვილად სამართავ მრბოდაა ქცეული და როცა კი წინასწარ დადგენილი გრაფიკიდან გარკვეული გადახრა ხდება, ანდა ჩვენ კონტროლს ნაკლებად ვექვემდებარებით, მყისიერად რაღაც საყოველთაო ამბები – სტიქიური უბედურებები, შიმშილობა, პანდემიები, ომები იწყება...

გარდა ამისა, საკმაოდ ხისტად კონტროლდება დედამიწის მოსახლეობის რიცხოვნობა: როცა ის გარკვეულ კრიტიკულ ზღვარს უახლოვდება, მისი კორექტირება სწორედ ამ გლობალური უბედურებების მეშვეობით ხორციელდება.

ნუმეროლოგია – ესაა უძველეს დროს წარმოშობილი სწავლება რიცხვებს, ადამიანის მომავალსა და ხასიათს შორის არსებული რელიგიური, ეზოთერიული თუ მისტიკური კავშირების შესახებ. ნუმეროლოგიის კვლევის საგანია თარიღებში, სიტყვებსა და სახელებში ასოთა რიცხობრივი მნიშვნელობების კავშირების დადგენა აწმყოსა და მომავალთან. ნუმეროლოგიის თანახმად, **ჩვენს ცხოვრებას, ასევე ყოველივე გარშემო არსებულის ყოფას რიცხვები განსაზღვრავენ.** ადამიანის ცხოვრებასა და რიცხვებს შორის მისტიკური კავშირების არსებობის დასადასტურებლად, ნუმეროლოგებს ბევრი ისეთი დამთხვევა მოჰყავთ, რომელთა შემთხვევითობით ახსნა ერთობ რთულია.

მაგალითისთვის, შეიძლება აღვნიშნოთ ცნობილი მათემატიკოსი **მარტინ გარდნერი,** რომელიც თავის გახმაურებულ წიგნში ამერიკელი პრეზიდენტების **აბრამ ლინკოლნისა** და **ჯონ კენედის** ბიოგრაფიებს ადარებს და არაერთ საგულისხმო დამთხვევას აღნიშნავს. კერძოდ,

– ლინკოლნი პრეზიდენტად 1860 წელს აირჩიეს, კენედი – 1960-ში;

– ორივე პარასკევ დღეს მოკლეს, ლინკოლნი – ფორდის თეატრში, კენედი კი – „ფორდის“ მარკის ავტომანქანაში;

– ორივე მოკლული პრეზიდენტი თანამდებობაზე დემოკრატიული პარტიის კანდიდატებმა, ორთავემ გვარდ ჯონსონმა ჩაანაცვლეს. ენდრიუ ჯონსონი დაიბადა 1808 წელს, ლინკონ ჯონსონი კი – 1908-ში.

– ლინკოლნისა და კენედის პირად მდივნებს შესაბამისად, ჯონი და ლინკოლნი ერქვათ;

– პრეზიდენტების მკვლელები დაიბადნენ 1839 და 1939 წლებში. ჯონ უილკსმა ლინკოლნი თეატრში მოკლა და მერე სარდაფში იმალებოდა, ლი ჰარნი ოსვალდმა კი კენედი საწყობიდან მოკლა, შემდეგ კი სარდაფში დაიმალა;

– ორივე მკვლელის სახელში ინგლისურ ენაზე 15-15 ასოა.

ისინი, ვისაც სჯერათ ნუმეროლოგიის, სიტყვებისა და ასოების ციფრებსა და რიცხვებში გადაყვანისას საგანგებო ტექნიკებს იყენებენ. მაგალითად, ძველი აღქმის ინგლისურ სახელწოდებაში – Old Testament – ასოები ნუმეროლოგებს რიცხვ 39-ში (3 და 9 – 39) გადაჰყავთ, ხოლო ახალი აღთქმისა (New Testament) რიცხვ 27-ში (3X9 – 27).

საგულისხმოა, რომ ბიბლიის ეს ნაწილები სწორედ ამ ოდენობის წიგნებისგან შედგება.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ნუმეროლოგიას იუდაურ და, შესაბამისად, ქრისტიანულ და არაბულ ტრადიციებში ზოგადად კი, **ბიბლია – ესაა ნუმეროლოგიურ დამთხვევათა ამოუწურავი წყარო: სამყაროს შექმნისა და კვირის შვიდ-შვიდი დღე; ქრისტეს 12 მოციქულზე და წლის 12 თვე და სხვ.** მაგრამ არის გაცილებით რთული მსგავსებებიც. მაგალითად, **მათუსალას ასაკი – 969 წელი – მე-17ტეტრაედრული რიცხვი, ხოლო თუკი 1-ს მივუმატებთ 2, 3, 4 და ასე შემდეგ 17-მდე ავალთ, მივიღებთ რიცხვ 153-ს. სწორედ, ამდენი თევზი ამოჰყვა მოციქულ პეტრეს ბადეს, როცა იესო ქრისტეს მოწაფეები შიმშილობდნენ.**

ქრისტიან მოაზროვნეთა (ნეტარი ავგუსტინე, ამბროსი მედიოლანელი) ცნობილია **მხეცისა** და **იესო ქრისტეს** რიცხვები – შესაბამისად, **„666“** და **„888“.**

ძველთაგან ცნობილი სხვა გამორჩეული რიცხვებიდან შეგვიძლია დავასახელოთ **ოქროს კვეთა** (1, 618034) და **ფიბონაჩის რიცხვები** (1, 2, 3, 5, 8, 13 და ა.შ.), სადაც პირველი ორის გარდა, ყველა მომდევნო, წინა ორის ჯამია. ოქროს კვეთის მეშვეობით იქმნება ლოგარითმული (ტოლკუთხა) სპირალი, ხოლო ფიბონაჩის თანამდევრობას ადგილი აქვს მცენარეთა სამყაროში: მაგალითად, ამ პრინციპით შეგვიძლია აღვწეროთ მზესუმზირაში მარცვლებისა და გვირილაში ყვავილის ფურცლების რაოდენობა.

დაბოლოს, რიცხვების ერთი ავბედითი დამთხვევის შესახებ, რომელიც ნუმეროლოგებმა სულ ახლახან აღმოაჩინეს: **პირველი მსოფლიო ომის დაწყების თარიღია: 28.07.1914, 28+7+19+14=68;** მეორე მსოფლიო ომის დაწყების თარიღია: 01.09.1939, 1+9+19+39=68; **კომენტარის გარეშე:** 24.02.2022, 24+2+20+22=68.

შენიშვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ რიცხვების ცალ-ცალკე შეკრებისას (ვთქვათ, 2+8+7+1+9+1+4), სამივე შემთხვევაში ვიღებთ რიცხვ „5“-ს.

ნუმეროლოგების აზრით, რიცხვები „68“ და „5“, როგორც ჩანს, რაღაცას უნდა ნიშნავდეს, თუმცა კი კონკრეტულად რას, დანამდვილებით უცნობია.

ოთარ ტურაბელიძე

◎ ტატამზე

2 ოქრო და 2 ბრინჯაო

საქართველოს 23-წლამდელ ძიუდოისტთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატი ორი ოქროს და ორი ბრინჯაოს მედლით დაასრულა. საქართველოს ნაკრებისთვის შედეგიანი 90, 100 და +100 კილოგრამი წონითი კატეგორიები გამოდგა.

ნიკა ხარაზიშვილი (90 კგ) ასპარეზობას პირველი წრიდან შეუდგა. იუნიორებში ოქროს, კადეტებში კი ვერცხლის მედლის მფლობელმა ქართველმა ძიუდოისტმა ოქროს ქულით დაამარცხა ნიდერლანდელი მეტოქე, შემდეგ წმინდა გამარჯვებები მოიპოვა ხორვატ, ფრანგ და ისრაელელ თანატოლებთან, საჩემპიონო შეხვედრაში კი უკრაინელ მარატ კრიჟანსკის იპონით მოუგო და საქართველოს ჰიმნიც ააჟღერა.

ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების ვერცხლის, უფროსებში მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლის მფლობელი **ილია სულამანიძე** (100 კგ) ჩემპიონატში მეორე წრიდან ჩაება — წმინდა გამარჯვებები მოიპოვა სლოვაკ, გერმანელ და იტალიელ მოჭიდავეებთან, გადამწყვეტ შეხვედრაში კი ასევე იპონით დაამარცხა უნგრელი ჟომბორ ვეგი და ჩემპიონობა მოიპოვა.

საქართველოს ნაკრებისთვის წარმატებული გამოდგა მძიმე წონაც. იუნიორებში მსოფლიოს ჩემპიონმა, ამავე ასაკობრივ ჯგუფში ევროპის ჩემპიონატების ვერცხლის და ბრინჯაოს მედლის მფლობელმა **საბა ინანეიშვილმა** მესამე ადგილისთვის შეხვედრაში გერმანელი იონას შრეიბერი გაფრთხილებების ხარჯზე დაამარცხა და კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე ავიდა. საქართველოს ნაკრებმა ვაჟთა საერთო ჩათვლაში 2 ოქროს და 1 ბრინჯაოს მედლით გუნდური მეორე ადგილი დაიკავა. გარდა ამისა, საქართველოს ნაკრებმა გუნდურ ტურნირშიც ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

◎ გოლიათი

თვით დავითი!

რაჭას ონის რაიონის სოფელი ხურუთიც ამშვენებს, ხოლო სახელოვან ფალავანთა ამ აღიარებულ მხარეს გვირგვინად იქაური მკვიდრის დავით გობეჯიშვილის ოლიმპიური ჩემპიონობა ადგას. სხვათა შორის, უდიდესი უსამართლობაა, რომ ჯერ-ჯერობით მსგავს ტიტულს მეზობელი ამბროლაურის ვერცერთი წარმომადგენელი ვერ შესწვდა, მაგრამ ვიმედოვნებთ ნავსი მალე გატყდება.



რაც შეეხება ცოცხალ ლეგენდას, მისი ტალანტი სულმნათმა შურა მაისურაძემ აღმოაჩინა, ნიჭიერი შეგირდის დაოსტატება და დიდ სარბიელზე გაყვანა კი ხალიჩის რაინდის გურამ საღარაძის სახელს უკავშირდება.

დიახ, სწორედ თავადაც უგვირგვინო ტრიუმფატორმა გამოძერწა ამ ერთი შეხედვით ტლანქი მძიმეწონოსნიდან ის რკინის გოლიათი, რომელმაც სეულის ფორუმზე ოქრო მოიხვეჭა, ხოლო ბარსელონაში ბრინჯაო დაიმსახურა.

აღარაფერს ვამბობთ მსოფლიოს ჩემპიონატებზე, მსოფლიოს თასის გათამაშებაში, ევროპის პირველობებზე, კეთილი ნების თამაშებსა თუ უამრავ პრესტიჟულ საერთაშორისო ტურნირებზე მოპოვებულ მედლებზე.

არადა, ცოტას თუ ახსოვს, რომ კორეაში გამგზავრებამდე მომავალმა გმირმა არანაკლები სიმძაფრის ძლევამოსილი ბრძოლა კისლოვოდსკში გადაიტანა, სადაც მარათონულ დამატებით შესარჩევ შერკინებაში ღირსეული მეტოქე ასლან ხადარცევი დააჩოქა. საამაყო ათლეტზე სასაუბროს რა გამოლევს...

60 წლის იუბილეს ვულოცავთ ჩემპიონთა ჩემპიონს!

„სრ“ სპორტის რედაქცია

◎ ოვალური გურთი

ნოემბრის ტესტებისთვის

2022 წლის ნოემბრის ტესტ-მატჩებს საქართველო 7 დებიუტანტით ხვდება. ტრავმისა თუ სხვა მიზეზებით გუნდს რამდენიმე ლიდერი დააკლდა, რამაც მსოფლიოს თასამდე ერთი წლით ადრე მწვრთნელებს ახალი სახეების საქმეში ხილვის შესაძლებლობა მისცა.

გაფართოებულ რაზმში 19 მორკინალი და 15 ხაზის მოთამაშეა. გუნდის მთავარი მწვრთნელი **ლევან მაისაშვილი** დანაკლისის შესახებ ამბობს:

„სამწუხაროა, მაგრამ ვერაფერს შევცვლით. მწვრთნელის ხვედრი ასეთია და ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ იმისათვის, რომ რაღაც ეტაპზე ესა თუ ის მოთამაშე დაგვაკლდება. სწორედ ამისთვის გვინდა სიღრმეების გაჩენა და სანაკრებო სივრცეში ახალი მოთამაშეების შემოყვანა.

ნოემბერში ძლიერი მეტოქეები და საინტერესო თამაშები გველოდება. საწყენია, რომ ორი ძირითადი ბურჯი დაგვაკლდება — ლუკა ჯაფარიძე და ბექა გიგაშვილი. პირველს ტრავმა აქვს და ოპერაცია გაიკეთა, ხოლო მეორე ოჯახური პრობლემების გამო ვერ ჩამოდის. ბექას არასდროს ჰქონია ნაკრებში ჩამოსვლასთან დაკავშირებით პრობლემა და მისი სიტუაცია ჩვენთვის აბსოლუტურად გასაგებია. ასევე ტრავმირებულია ბურჯი ნიკა ხატიაშვილი, მეორე ხაზში გრიგორ ქერდიყოშვილი და მესამეში გიორგი ცუცქირიძე, რომელიც მოედანზე 2-3 კვირაში დაბრუნდება. დისკვალიფიკაციის გამო არ გვეყოლება გელა აფრასიძე, რომელიც ჩვენთვის დიდ ძალას წარმოადგენს. ტრავმირებულია კიდევ ერთი 9 ნომერი მიშიკო ალანია, ასევე სოსო მათიაშვილი და თორნიკე კახოიძე“.

34-კაციან რაზმში 7 დებიუტანტია და მათგან სამი პირველხაზელია. გამოძახებულთა შორისაა „ლენსთერის“ ბურჯი ვახტანგ აბდალაძე, რომლის მამა ვეტერანი ბორჯღალოსანია, თავად კი ირლანდიის 20-წლამდელთა ნაკრებში ითამაშა. ასევე გამოძახებულები არიან ახალგაზრდა ბურჯები სერგო აბრამიშვილი და ალექსანდრე ქუნთელია. 9-10 ნომრებზე, ასევე ხაზში „შავი ლომიდან“ ოთხი მოთამაშეა — თენგიზ პერანიძე, გიორგი მარგალიტაძე, ლუკა მატკავა და ოთარ ლაშხი.

„აბრამიშვილს და ქუნთელიას 20-წლამდელთა ნაკრებიდან ვიცნობთ და კლუბებისგანაც კარგი დახასიათება აქვთ. „ლა როშელში“ კვალიფიკაციის ასამაღლებლად იმყოფებოდა ჩვენი შერკინების მწვრთნელი ილია მაისურაძე და ქუნთელია უშუალოდ საქმეში ნახა. მიუხედავად იმისა, რომ ორივე ახალგაზრდაა, ჩავთვალეთ საჭიროდ, რომ ისინი საქმეში გვენახა. ასევე გვყავს აბდალაძე, რომელსაც 20-წლამდელთა ირლანდიის ნაკრებში აქვს ნათამაშები. ხაზში “შავი ლომიდან“ ოთხი დებიუტანტია. ეს გუნდი სწორედ იმისთვის გვყავს, რომ უმტკივნეულოდ მოხდეს მოთამაშეების ჩანაცვლება. ლაშხი ადრეც გვყავდა გაფართოებულ შემადგენლობაში, თუმცა თამაში არ მოუწია“ — გვიხსნის მაისაშვილი.

ნოემბერში ბორჯღალოსნები სამ თამაშს გამართავენ და აქედან ორს თბილისში, „დინამო არენაზე“. 6 ნოემბერს საქართველოს დედაქალაქს ამერიკის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი ურუგვაი ეწვევა, ხოლო 12 ნოემბერს ოკეანეთის ჩემპიონი სამოა. 19 ნოემბერს ბორჯღალოსნები კარდიფში უელსს ესტუმრებიან.

◎ ლეგიონერი

10-ქულიანი დაბრუნება

ესპანეთის ლიგა ენდესას მეექვსე ტურში თად მაკფადენის „მურსია“ „ჟირონას“ ესტუმრა და 89:100 წააგო. მატჩის ბედი მეოთხე პერიოდის წინ პრაქტიკულად გადაწყვეტილი იყო, რადგან მასპინძლები 21-ქულიან უპირატესობას ფლობდნენ.

კოჭის ტრავმის შემდეგ მოედანზე დაბრუნდა მაკფადენი, რომელმაც 13 წუთში 10 ქულა, 2 მოხსნა და 1 პასი მიითვალა. საქართველოს ნაკრების ნატურალიზებულმა კალათბურთელმა 3-დან 1 ორქულიანი, 6-დან 2 სამქულიანი და 3-დან 2 საჯარიმო ჩააგდო, ხოლო მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი 6-ს გაუტოლდა.

„მურსია“ 3 მოგებით და 3 წაგებით სატურნირო ცხრილში მეათე ადგილზეა, მომდევნო ტურში კი 5 ნოემბერს „უუვენტუტს“ უმასპინძლებს.

◎ ფორმულა — 1

ახალი რეკორდით



მსოფლიოს აწ უკვე ორგზის ჩემპიონმა მაქს ფერსტაპენმა მექსიკის დიდი პრიზი მოიგო და ერთ სეზონში მოპოვებული გამარჯვებების რაოდენობით რეკორდსმენი გახდა. აღნიშნული წარმატება არის მე-14, რითაც ძველი მიღწევა ერთით გააუმჯობესა. 13 გამარჯვება მიხაელ შუმახერის და სებასტიან ფეტელის ანგარიშზეა.

ფერსტაპენმა რბოლა პოულიდან დაიწყო და კარგი სტარტით შეინარჩუნა ლიდერობა. რბოლის 71 წრის განმავლობაში ერთი პიტ სტოპი შეასრულა (26-ე წრეზე), სოფტებიდან მედიუმებზე გადავიდა და უპრობლემოდ მიიყვანა საქმე ტრიუმფამდე. ფინიშთან მან მეორეზე გასულ ლუის ჰამილტონს 15.186 წამით მიასწრო. მესამე ადგილზე მისი თანაგუნდელი სერხიო პერესი გავიდა.

„გამორჩეული სეზონი იყო და ვეცდებით, უფრო მეტს მივაღწიოთ“, — განაცხადა ფერსტაპენმა, ვისთვისაც ეს მექსიკაში მოპოვებული მეოთხე გამარჯვებაა. სხვათა შორის, შარშანდელ რბოლაშიც იგივე პილოტები, იმავე მიმდევრობით განლაგდნენ.

მექსიკაში მოპოვებული წარმატების შემდეგ ფერსტაპენი მეორეზე გადასულ პერესს 136 ქულას უგებს. ჰოლანდიელს 416 ქულა აქვს, რაც ჰამილტონის რეკორდულ ქულებზე (2019 წელი) სამით მეტია. „რედ ბულმა“ ზედიზედ მეცხრე, სულ კი, გასული 20-დან მე-16 რბოლა მოიგო.

ჰამილტონმა განაცხადა, რომ პირველ პიტ სტოპამდე ფერსტაპენს მეტ-ნაკლებ კონკურენციას უწევდა, თუმცა შემდეგ ჩემპიონი მედიუმებზე გადავიდა, „მერსედესმა“ კი თავისი ლიდერი ჰარდებზე გადაიყვანა. ჰამილტონი თვლის, რომ სწორედ ამის გამო ვეღარ შეძლო ლიდერის ტემპის აყოლა.

ვინა სთქვას, თითქოს...

სიტყვა, თქმული ჩემი ღვიძლი ნათესავის გამოთხოვების ჟამსა...

ვინა სთქვას, თითქოს ჩვენს ამღვრეულ დროში, წმინდა წყლის გულითად მეგობრობას და ნაღდ ამხანაგობას ყავლი გაუვიდა და ფასი დაეკარგა.

თქვენ რომ გენახათ, შემოდგომის ამ მზიან დღეს, 50 წლის კარგი ქართველი ვაჟკაცის — გია იაგანაშვილის გამოსვენება, ის მოქუფრული სახეები, საიდანაც ცრემლები წვიმასავით ჩამოდიოდა, ამას მთელი არსებით შეიცხადებდით და შეიგრძნობდით.

ძმაკაცთა მწუხარებამ ლამის დედისა და შინაურთა ცრემლებს გადაამეტა.

ეს იყო გულწრფელი გლოვა უიღბლო სიყვარულს შეწირული კაცისა, რომელსაც ბედმა არ გაუმართლა...

ვინა სთქვას, თითქოს, დღევანდელ ყოფაში ღალატის ფერი გადაეკრა ყველაფერს...

ნამდვილი და ამაღლებული სიყვარული კვლავაც არსებობს! ოკეანეს გაღმა გასული ცოლ-შვილის გამო, თავს მარტოსულად გრძნობდა. ტკივილიან და უღალატო გრძნობებში ჩაიძირა, მაგრამ არ გაბოროტებულა, მომხდარი არ გაუმუქებია და არც სამაგიეროს გადახდის სურვილი გასჩენია.

შვილების კეთილად აღზრდის მიზანი ამოძრავებდა. სოფიკო და ლევანი ხომ, რაც უპირველესი იყო მისთვის, კარგად და ბედნიერად იზრდებოდნენ.

იმისთანა მეგობრების გვერდით, რომლებიც „გულთა ნათელი, თვალთა ჩინი და მკლავთა ძალნი“ აღმოჩნდნენ, გია არც გალოთებულა, არც გათიშულა, არც ახალი გრძნობა გასჩენია. გულში ჩაირაზა ოჯახური სიწმინდე, ჩაიკირა და მუდმივად ტახტზე მწოლარე ძილში ჩაკვდა.

ვინა სთქვას, თითქოს, თავდაყირა გარემოებაში, „ყმა დედულეთით აღარ გამოდის და ქალი ლამაზი გვარითა“.

გიას მამა, ლე:ვან (რეო) იაგანაშვილი სოფელ არაშენდის და ქალაქ თბილისის თვალი და ჯავარი იყო. არც გარეგნობა აკლდა, არც განსწავლულობა, არც გულკეთილობა და არც ცხოვრების ღაზო.

ენამზიანსა და ენაკვიმატს ისეთი იუმორი ჰქონდა, რომ სიცილი ასუსტებდა მსმენელთ.

თავდადებული და ერთგული ქალი — გალინა ოსიყმაშვილი გაიხადა ცხოვრების მეგზურად და ორი შვილის დედად. აქეთ სანაქებო დები და დის შვილები ედგნენ, იქით კი — სიმამრის — სამამულო ომის გმირის — ვასილ ოსიყმიშვილის დიდებული და სამაგალითო ოჯახი უმაგრებდა ზურგს.

ვინა სთქვას, თითქოს სამშობლოს დაცვა და გმირული წარსული იკარგება და დავიწყებას ეძლევა.

ყველამ კარგად იცოდეს, რომ ისტორიას ვერავინ და ვერასოდეს გადააშენებს და გადაჰკარგავს!

რეოს ფსევდონიმად „იარე“ ჰქონდა.

...და დადიოდა.. და დადიოდა „სწორი და მართალი გზით, ყამირსაც აბრუნებდა და ცოდნის ზვინებსაც დგამდა სიჯეელეში, ომისაგან დანგრეულ სახლსაც, მთავრობის სახლის უკან, ხელახლა აშენებდა და თავიდან იწყებდა ხოლმე ახალმოსახლეობას.

ოღონდაც, არაშენდელ „კაი ყმას“ მშობლიურ მიწაში დაბრუნება აღარ ეღირსა და თბილისს მიებარა.

გია და ნანა რუსთაველზე გაიზარდნენ. გიაც კარგად მღეროდა, მაგრამ ნანამ აჯობა და „მზიურელი“ გახდა.

გია პირველ ტელევიზიაში მუშაობის დროს დაქორწინდა. ორივე შვილი — სოფიკო და ლევანი ამერიკიდან მაშინვე ჩამოფრინდნენ, როგორც კი მამის ამბავი აცნობა გალინა ბებომ. სამწუხაროდ, ცოცხალს ვეღარ ჩამოუსწრეს...

ვინა სთქვას, თითქოს, არსთა გამრიგემ ვერ დაინახა და ვერ შეიცნო ეს მდუმარე ჭაბუკი.

იგი პირქვე დამხობილი აიტაცა ზეციურ სასუფეველში, რათა დიდ სულს მარადიული ხსოვნის ნათელი მოჰფინოს!

აქ კი დაგვიტოვა გია იაგანაშვილის სიყვარულით სავსე თბილი გული, რომელსაც ცივი დავიწყებისთვის არასოდეს გავიმეტებთ...

მედეა მოსულიშვილი,
28.10.2022

დარჩა მეხსიერებაში...

40 დღე გავიდა, რაც ამ ქვეყნიდან გავაცილეთ მე-XX საუკუნის ერთ-ერთი უძლიერესი ძალოსანი, ოლიმპიური და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი

რაფაელ ჩიმიშკიანი

ერთი ძირძველი თბილისელი (ზემელელი) კაცი — გამორჩეული თავისი კაცობით, იუმორით და გვერდში დგომით — იგი სამუდამოდ დარჩება ჩვენს მეხსიერებაში.

მეგობრები

სანთელი

შვილი გიგი თევზაძე, მული ია თევზაძე, დისწულები: მარინე, ნინო ახალაძეები ოჯახებით, შვილიშვილები: ანდრო, ნიკა, ირაკლი, ბენო თევზაძეები, თენგო დალაქიშვილი, რძლები ლალი ახობაძე, ნინო ცინცაძე, მაკა ლობჟანიძე, მძახლები: ნაზი ბაბუნაშვილი, თამილა, ლეილა ლობჟანიძეები, მაზლიშვილები: ლალი, ნინო, მარიამი ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რუსუდან ენუქიძე

პანაშვიდი ოთხშაბათი 17 საათზე, დაკრძალვა ხუთშაბათი 14 საათზე.
მის: მიხეილ თამარაშვილის 9.

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 104 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536 0-20100009. (შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

სასაზღვრო პოლიციამ საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობისთვის 3 პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა, ბათუმის სამმართველოს სასაზღვრო სექტორ „ჩირუხის“ დასაცავ მონაკვეთზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, ავღანეთის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქეები — 1998 წელს დაბადებული ა.ს., 2002 წელს დაბადებული შ.ა. და 1985 წელს დაბადებული ზ.პ. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ, ჯგუფურად გადაკვეთის ბრალდებით დააკავეს, — ამის შესახებ ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიცია ავრცელებს. მათივე ინფორმაციით, დანაშაული 4-დან 5 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულებმა, სასაზღვრო საკონტროლო-გამტარი პუნქტის გვერდის ავლით, თურქეთის რესპუბლიკიდან ჯგუფურად, უკანონოდ გადმოკვეთეს საქართველოს სახელმწიფო საზღვარი.

ექიმი როსტომ შველიძე პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს გარდაიცვალა

პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს გარდაიცვალა ექიმი როსტომ შველიძე. ინფორმაცია ამის შესახებ სოციალურ ქსელში ვრცელდება.

„ეს არის კაცი, რომელიც 8 საათი იდგა ოპერაციაზე, ოპერაციის მიმდინარეობისას თავად გახდა ცუდად, მაგრამ ვერ შეწყვიტა ბრძოლა ახალგაზრდა სიცოცხლის გადასარჩენად. ბატონი როსტომ შველიძე პროფესიული მოვალეობის შესრულებისას გარდაიცვალა. გვერდის ადმინისტრაცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს უსამძიმრებს ოჯახის წევრებს, კოლეგებსა და სრულიად ქართულ სამედიცინო საზოგადოებას. ყოველთვის გვემახსოვრება, რომ შენ აირჩიე ფიცის ერთგულება, სიცოცხლის ფასად, გმირო“, — წერია Facebook გვერდის — „ყველაფერი მედიცინაზე“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ჯათარზისი
საერთაშორისო ჰუმანიტარული ჯავშირი (ასოციაცია)
International Humanitarian Union (Association)
Catharsis

ვიწვევთ ასოციაცია „კათარზისის“ თავშესაფარში ცხოვრების მსურველ საპენსიო ასაკის, თვითმოვლის უნარის მქონე ხანდაზმულ ქალბატონებს.

დეტალური ინფორმაციისთვის მსურველები დაგვიკავშირდნენ 10 სთ-დან 18 სთ-მდე. ტელ: 2957876, 558194130

ზაურ (ოლეგ) ალადაშვილი „კათარზისის“ პრეზიდენტი

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲝ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲛᲐ „ᲐᲭᲐᲠᲐᲑᲔᲗᲘ ᲐᲠᲔᲜᲐᲛ“ ᲣᲫᲠᲐᲕᲘ ᲥᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲝᲡᲙᲐᲠᲘ ᲛᲝᲘᲞᲝᲕᲐ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ დᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲐᲖᲔ, ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲝ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲛᲐ „ᲐᲭᲐᲠᲐᲑᲔᲗᲘ ᲐᲠᲔᲜᲐᲛ“ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲨᲔᲜᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲢᲔ�გᲝᲠᲘᲐᲨᲘ �გᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲐ.

გამარჯვებულები, საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად, ჟიურიმ გამოავლინა. ამ გამარჯვებით, სტადიონი წარდგება მსოფლიო დაჯილდოებაზე FIABCI World Prix d’Excellence Awards, რომელიც 2023 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიმართება“, — წერს აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე სოციალურ ქსელში.

ᲙᲐᲞᲠᲐᲚᲘ ᲗᲔᲛᲣᲠ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘ ᲞᲐᲠᲐᲛᲙᲚᲐᲕᲭᲘᲓᲨᲘ ᲝᲗᲮᲒᲖᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲐ

ᲐᲕᲦᲐᲜᲔᲗᲨᲘ დაᲭᲠᲘᲚᲛᲐ ქართველმა სამხედრო მოსამსახურემ, კაპრალმა თემურ დადიანმა პარამკლავჭიდის მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვება მოიპოვა. ამ გამარჯვებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამხედრო მოსამსახურე ოთხგზის მსოფლიო ჩემპიონი გახდა. კაპრალმა თემურ დადიანმა ორივე ხელის კატეგორიაში გაიმარჯვა. მარცხენა ხელის ფინალში მან ყაზახი სპორტსმენი დაამარცხა, ხოლო მარჯვენა ხელში — უკრაინელი.

მსოფლიოს პარამკლავჭიდის ჩემპიონატი თურქეთში, სტამბოლში ჩატარდა, რომელშიც 54 ქვეყანა მონაწილეობდა. თემურ დადიანი გინესის ორგზის რეკორდსმენია და წარმატებით ასპარეზობს პარასპორტის სხვადასხვა სახეობის ტურნირებში. თავდაცვის ძალების სამხედრო მოსამსახურე 2011 წელს, ISAF-ის მისიის ფარგლებში, ავღანეთის ჰელმანდის პროვინციაში პატრულირების დროს ხელნაკეთ ნაღმზე აფეთქდა და ორივე ქვედა კიდური დაკარგა.

ᲓᲝᲚᲘ ᲡᲐᲛᲔᲒᲠᲔᲚᲝᲨᲘ ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ ᲗᲐᲡᲖᲔ...

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ მუᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ, სოფელ ოირემეში, საცხენოსნო შეჯიბრება „ზუგდიდის თასი 2022“ გაიმართა. ცხენოსნობის შვიდი ეროვნული სახეობის ასპარეზობაში საცხენოსნო კლუბები მთელი საქართველოდან მონაწილეობდნენ. დოღი სამეგრელოში არსებული საცხენოსნო ტრადიციების აღდგენას ისახავს მიზნად.

ღონისძიების ორგანიზატორი საცხენოსნო კლუბი „ხარებაა“. ზუგდიდის თასი ცხენოსნობის ეროვნულ სახეობებში ყოველწლიურად გაიმართება.

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲝᲛᲒᲐᲛᲝᲕᲚᲘᲚᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ 30 ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲘ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ

ᲑᲣᲩᲘᲓᲐᲜ, ᲘᲠ�პᲔᲜᲘᲓᲐᲜ, ᲝᲓᲔᲡᲘᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲝᲛᲒᲐᲛᲝᲕᲚᲘᲚᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘᲓᲐᲜ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ 30 უᲙᲠᲐᲘᲜᲔᲚᲘ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲘ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ. მᲐᲗᲘ უმრავლეᲡᲝᲑᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲐ, რᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ მᲐᲗᲒᲐᲜᲛᲐ მᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘ ᲝᲛᲨᲘ, ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲖᲔ დᲐᲙᲐᲠ�გᲐ.

ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ დიᲐᲡᲞᲝᲠᲘᲡᲐ და კᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ საკᲘᲗᲮᲗᲐ კᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ თავმჯდომარე, ᲑᲔᲥᲐ ᲝᲓᲘᲨᲐᲠᲘᲐ მᲐᲡᲐᲞᲘᲜᲫᲚᲝᲑᲡ. უᲙᲠᲐᲘᲜᲔᲚᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘ ᲑᲐᲗᲣᲛᲡ ᲔᲡᲢᲣᲛᲠᲜᲔᲜ, შემდეგი გაᲩᲔᲠᲔᲑᲐ კი მცხეთაა, სადაც ისტორიული ქალაქის ღირსშესანიშნაობებს დაათვალიერებენ.

ხუთშაბათს, საქართველოს პარლამენტში ოფიციალური მიღება გაიმართება და მათ საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარე და პარლამენტის წევრები შეხვდებიან, თბილისის მერიის ხელშეწყობით კი, ისინი ეწვევიან მოზარდ მაყურებელთა თეატრს, ბოტანიკურ ბაღს, მთაწმინდის პარკს.

უკრაინელი სტუმრები ასევე მონაწილეობას მიიღებენ თელავში დაგეგმილ ერეკლეობის ღონისძიებაზე, რომელიც 7 ნოემბერს გაიმართება.

ᲞᲣᲢᲘᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲝᲠᲔᲣᲚᲔᲑᲘ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲞᲣᲢᲘᲜᲘᲡ სულ მცირე 3 ორეული ᲰᲧᲐᲕᲡ, რᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ მᲐᲡ ᲔᲜᲐᲪᲕᲚᲔᲑᲘᲐᲜ, — ამის შესახებ უკრაინის თავდაცვის სამინისტროს მთავარი სადაზვერვო სამმართველოს ხელმძღვანელმა კირილ ბუდანოვმა განაცხადა. მისივე თქმით, კრემლის ხელმძღვანელზე უფრო მეტად დამსგავსებისთვის ორეულებმა პლასტიკური ოპერაციები გაიკეთეს.

„ᲩᲕᲔᲜ ᲕᲘᲪᲘᲗ სამი მᲐᲗᲒᲐᲜᲘᲡ შესახებ, რომლებიც მუდმივად ᲩᲜᲓᲔᲑᲘᲐᲜ, მᲐᲒᲠᲐᲛ არ ᲕᲘᲪᲘᲗ, სულ რამდენი მᲐᲗᲒᲐᲜᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ. სამივემ გაიკეთა პლასტიკური ოპერაცია, რათა პუტინივით გამოიყურებოდნენ. ერთადერთი, რაც მათ განსხვავებული აქვთ, მათი სიმაღლეა, ასევე ᲫᲕᲚᲢᲔᲑᲘ, სხეულის ენა და ყურის ᲑᲘᲑᲘᲚᲝᲑᲘ, რადგან ისინი თითოეული ადამიანისთვის უნიკალურია“, — განაცხადა ბუდანოვმა.

ᲠᲣᲡᲗᲐ ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲔᲠᲛᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲝᲑᲐᲖᲔ ᲣᲐᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ

ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚᲘ საᲤᲘᲜᲐᲜᲡᲝ ტᲔᲥᲜᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ **ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲘᲡ Revolut-ის გენერალურმა დირექტორმა, მილიარდერმა ნიკოლაი სტორონსკიმ რუსეთის მოქალაქეობაზე უარი განაცხადა.**

სტორონსკის დიდი ბრიტანეთის მოქალაქეობაც აქვს. უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესიის დაწყების შემდეგ მან რუსული აგრესია დაგმო. ახლა კი საბრძოლო მოქმედებების სასწრაფო შეწყვეტისკენ მოუწოდებს. სტორონსკის მამა, რომელიც სააქციო საზოგადოების, „გაზპრომ პრომგაზის“ გენერალური დირექტორია, ოქტომბრიდან უკრაინის სანქციების ქვეშ არის.

ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲛᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲛᲝᲑᲘᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲣᲨᲕᲐ

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ დღესთან დაკავშირებით, თურქეთში პირველი ელექტრომობილის, TOGG-ის პრეზენტაცია შედგა.

ავტომობილის მასობრივი წარმოება ჩრდილო-დასავლეთ თურქეთში, ბურსაშია დაგეგმილი. ქვეყნის პრეზიდენტის, რეჯეფ თაიფ ერდოღანის განცხადებით, ყოველწლიურად 175,000 ავტომობილის წარმოება იგეგმება. საწარმო ათასობით ადამიანს დასაქმებს. თურქეთის პრეზიდენტის თქმით, მოქალაქეებს TOGG-ის ავტომობილების წინასწარ შეკვეთა 2023 წლის თებერვლიდან შეეძლებათ.

ᲐᲦᲛᲝᲐᲩᲘᲜᲔᲡ ᲑᲐᲧᲐᲧᲔᲑᲘᲡ ᲔᲥᲕᲡᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲐ

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲛᲐ ეკვადორში წვიმის ბაყაყის 6 ახალი სახეობა აღმოაჩინეს. გამოცემის ინფორმაციით, აღმოჩენა ანდეებში, ორი ეროვნული პარკის ტერიტორიაზე გაკეთდა. მეცნიერები აღნიშნავენ, რომ ახალი სახეობების წარმომადგენლები გაჩეხილი ტყეების მახლობლად იპოვეს, ამიტომ ისინი საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობების წითელ სიაში უნდა შეიტანონ.

ერთ-ერთ სახეობას მეცნიერებმა „რეზისტენცია“ (წინააღმდეგობა) დაარქვეს, გარემოს აქტივისტების პატივსაცემად, რომლებიც ლათინურ ამერიკაში მოკლეს. ლათინურ ამერიკაში იმაზე მეტ გარემოს დამცველს კლავენ, ვიდრე მსოფლიოს რომელიმე სხვა ნაწილში.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ᲟᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲘ №170

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲯᲝᲑᲣᲚᲘᲐ
599 36-00-35

ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ:
�გᲣᲠᲐᲛ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
599 53-76-16;
ᲐᲚᲔᲥᲝ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
599 56-81-86;

ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ
514 33-33-24

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „ᲗᲘᲜᲐᲓᲒᲝᲛᲐ -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ᲢᲔᲚ. 599 79-76-79
ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ
„ᲙᲝᲚᲝᲠᲘ“
Ე. ᲑᲐᲚᲓᲐᲕᲐᲫᲘᲡ №3
ᲙᲝᲚᲝᲠ ᲯᲒᲣᲤᲘ

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲣᲙᲕᲔᲗᲐᲕᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲮᲐᲠᲕᲖᲘᲗ. ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲘ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲐᲠ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲝᲓᲔᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ. ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲖᲣᲡᲢᲔᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲐᲒᲔᲑᲔᲜ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲡ, 4 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ:
ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ - 2.7754; ᲔᲕᲠᲝ - 2.7557
ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚᲘ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲡᲢᲔᲠᲚᲘᲜᲒᲘ - 3.2009;
100 ᲠᲣᲑᲚᲘ - 4.4853; ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲚᲘᲠᲐ - 0.1490;
ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲐᲗᲘ - 1.6358;
1000 ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲓᲠᲐᲛᲘ - 7.0285.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ 2 ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:				
ᲑᲐᲠᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+2,	ᲓᲦᲔ	+16
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	—4,	ᲓᲦᲔ	+13
ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:				
ᲑᲐᲠᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+5,	ᲓᲦᲔ	+16
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	—1,	ᲓᲦᲔ	+14
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ:	ᲦᲐᲛᲔ	+8,	ᲓᲦᲔ	+15

ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲔᲙᲔᲗ, ᲛᲝᲒᲕᲬᲔᲠᲔᲗ:
ᲢᲔᲚ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ᲔᲚ. ᲤᲝᲡᲢᲐ: sakresp@top.ge
ᲓᲐ sakresp@mail.ru
ᲕᲔᲑ-ᲒᲕᲔᲠᲓᲘ: www.sakresp.ge